ნომერის ფასი 7 კაპ. | ფასი 7 კაპ. | ხუთშაბათი, 2 მარტი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე 20 კ., უკანასკნელს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირს. მეტი. დამატებიანი № ღირს უცვლელად 10 კაპ.

№ 48 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 48

გაზეთი

## „საქართველო"

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:

მთელის წლით—15 მ., $1/2$ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ." ღირება 12 მ.—50 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა ეკატერინე, ძმები იაგორ მეუღლით ოლღათი და მიხეილ ქიმერიძეები, და დარია ივანეს ასული და სიძე ზაქარია იოსების ძე აბრამიშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 ამა თებერვალს გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორეთა დაუვიწყარი ძმა, უკანასკნელთა ცოლის ძმა და ბიძა ტომსკის სატეხნოლოგიო ინსტიტუტის მე-5 კურსის სტუდენტი

## ილია ივანეს ძე ქიმერიძე

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ვერის დაღმართი, სახლი № 7. ბინა აბრამიშვილისა. დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 3 მარტს, დიდუბის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება დილის 10 საათზედ.

(3—553—2)

---

## სახალხო სახლი. კვირას, 5 მარტს,

## გ. ქუჩიშვილის დილა

I იუმორი: შოლტი—„გრუდე სარკე"

II პოეზია:

სანდრო შანშიაშვილი.
ვ. რუხაძე.
ს. რემონიძე.
ვ. საათაშვილი.
გ. შინატეხელი.
[illegible]
გ. ქუჩიშვილი.

III მუსიკა:

ილ. ქურხული, მოხეტიალე მემუსიკე.
ძმ. კავსაძენი, „ტრიო" და სხ.
ი. სალირაშვილი, თარი.

სცენები:

ნ. გოცირიძე.
შ. საფაროვი.
სალაყაია.

დასაწყისი დღის 12 საათზე. ადგილების ფასი 15 კ-დან 2 მანეთამდე. ბილეთები იყიდება კანტორა „განათლებაში", ოლღას ქ № 6 და დილის დღეს სახალხო სახლში.

გამგე დილისა ვ. საათაშვილი.

(1—594—2)

---

## ამიერ კავკასიის

(სავაჭრო-სამრეწველო)

### ბანკის დამფუძნებელნი

უმორჩილესად სთხოვენ ბანკის აქციონერებს, ვისაც კი სრული ხმა აქვთ, მობრძანდნენ კერძო თათბირზედ, რომელიც დანიშნულია პარასკევს, 3 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ბანკის სადგომში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5, თავად-აზნაურთა ბანკის ახალ შენობაში.

კრებაზედ წინასწარ განხილული იქნება ყველა ის საკითხები, რომელიც უნდა გადაწყდეს შემდეგ, 5 მარტს, საზოგადო კრებაზედ იმავ შენობაში.

აქციონერებს მიეცემათ შესავალთან შესაფერი ბილეთები.

(1—602—1)

---

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

## ნ. ბარათაშვილის ლექსები

და წერილები

## სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა".
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა".
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი".
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა".
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი".
დ. უზნაძის—„პოეტის სული".

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—7)

---

მიიღება ხელის მოწერა

## სანდრო შანშიაშვილის

### თხზულებაზე

26 წიგნი გამოვა შემდეგის სერიით:

ლექსები.

1. ცხოვრების გზაზე,
2. ტრფობის ნაშთი,
3. ხევდა მამულისადმი,
4. ბაღი ხევდისა,
5. ხაგალობელნი,
6. წიგნი სიმღერებისა,
7. სამიჯნურო ჰანგები,
8. საბავშვო იგავ-არაკები.

ლირიკული პოემები.

9. იდუმალი ხმები,
10. ოცნების ხარეს,
11. ლანდები,
12. ორფეოს და ევრიდიკე,
13. იდუმალობის წინაშე,
14. ამირანი.

ეპიკურ-რომანტიული პოემა.

15. მედია და მშვენიერი ელენე,

დრამატიული პოემები.

16. ქალი გრძნეული,
17. მეფე მგოსანი,
18. ბერდო ზმანია,
19. ივერიკო,
20. შვების თავადი,
21. უკვირგვინო მეფენი,
22. ბედი მგოსნისა.

თარგმნები.

23. ფაუსტ გიოტესი,
24. დონ-კარლოს შილლერისა,
25. კეისარ იმპერატორი კონ—ხა,
26. უცხო ლირიკა.

ხელის მომწერისთვის ყველა წიგნები ღირს 15 მანეთად.

ფულის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად. პირველად 5 მან.,—მიიღებთ ათს წიგნს; მეორედ 5 მან.,—მიიღებთ კიდევ ათს წიგნს და მესამედ 5 მან. დანარჩენ წიგნებისათვის.

ვინც ოცს ხელისმომწერს იშოვნის, ყველა წიგნები უფასოდ დაეთმობა. ბიბლიოთეკებს ყველა წიგნები თუმნად დაეთმობათ.

მთავარი მისამართები თბილისში: წ.-კითხვის საზოგადოება, სასახლის ქუჩა—ვასილ ედილაშვილი; მოსკოვის ქუჩა № 4 „საქართველოს" რედაქცია; ნიკოლოზის ქუჩა № 7—სანდრო შანშიაშვილი და „სახ. ფურცლის" კანტორა. ხელის მომწერის ადრესი, სახელი და გვარი გარკვევით უნდა იქმნეს აღნიშნული.

გამომცემელი ნარდონი.

(601—1)

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

ხუთშაბათს, 2 მარტს,

## სინემატოგრაფი

## სიმფონიანი ორკესტრი

სტუმრები საზოგადო წესით. — დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

(1—603—1)

---

## საბურთალოზე

## ადგილების მყიდველთა საყურადღებოდ

შევუდექით „დიდ ნავენახარის" (საგაბაშვილო თხინვალის აგარაკში) სამოხაზლოების დამტკიცებას.

ვსთხოვთ უმორჩილესად ადგილების მყიდველთ, მობრძანდნენ 27 ამა თებერვლიდგან, წარმოადგინონ მათზე დარჩენილი ფულები სრულად თბილისის სამეურნეო ბანკში და დაიმტკიცონ თვისი დაბევებული ადგილები.

ჩვენ მიერ მიცემული ბარათები ფულის მიღებისა აგრეთვე ბანკიდგან მიღებული უსათუოთ თან უნდა მოიტანონ—საბოლოვო ანგარიშის გასასწორებლად.

გადილების დამტკიცება გასტანს—ამავე წლის მარტის 30 რიცხვამდინ.

ვინც ამ ხნის განმავლობაში არ დაიმტკიცებს ადგილებს და არ გაასწორებს ანგარიშს, შემდეგ უფლება დაეკარგება მამულის დამტკიცებაზედაც და საყვედურის თქმაზედაც.

პატივისცემით: იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე. სევასტი მიქელას ძე გაჩეჩილაძე. ივანე ზაალის ძე სვანიშვილი.

(10—539—4)

---

ექიმი კბილისა

## ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

---

ექიმი

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

ექიმი

## ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

---

ექიმქა

## გ. მ. მეხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სანაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914" და „606" შეშხაპუნება

---

ექიმი

## ე. ლ. შალამბერიძე

იღებს სნებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

---

ექიმი

## გ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ვერინსკის ქ. № 4. (ო—202—)

---

## რუსეთის ამბები

ყოველი განვლილი დღე უფრო და უფრო ცხადჰყოფს, რომ ომი და რუსეთის არსებული სინამდვილე ერთმანეთს ვერ აიტანს. ამ შეგნებას შფოთი და მღელვარება შეაქვს საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობაში. რუსეთის ხალხების წარმომადგენლებმა, სახელმწ. სათათ. სახით, ბრძოლის ასპარეზის უბედურობას სულერთიანად მთავრობას აბრალებს და კატეგორიულად მოითხოვს, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა ხალხის ნდობით აღჭურვილ პირებს ჩაბარდეს. ომის საქმეც, მისის აზრით, მაშინ გამოსწორდება. მეორეს მხრივ, მთავრობას თავის-თავი ქვეყნის ღირსეულ მმართველად მოაქვს და ხალხის წარმომადგენლების განცხადებას ანგარიშს არ უწევს. ეს ორი, ერთიმეორის წინააღმდეგ დაპირისპირებული ძალა, რაც დრო გადის, თავთავის აზრი-შეხედულობის სისწორეში უფრო და უფრო რწმუნდება. წინააღმდეგობა უფრო და უფრო მწვავდება და მათი პსიხოლოგია შეურიგებელი ჰხდება. ამგვარად ერთმანეთს უფრო და უფრო შორდება ორი იმგვარი ძალა, რომელთა მიზანშეწონილი, მტკიცე თანამშრომლობა გამარჯვების აუცილებელ პირობად არის აღიარებული ყოველს ქვეყანასა და სახელმწიფოში. პროცესი ამ ორ ძალის დაშორებისა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს და არავითარის ტერაპევტიულის საშუალებით იმ საქმის გამობრუნება და განკურნება არ შეიძლება. ერთმანეთის დარწმუნების და დაჯერების ხანამ განვლო. პსიხოლოგიური ზედმოქმედება ერთმანეთზე აწ აღარ შეიძლება. ორივე ბრძოლის მოედანზეა გამოსული და მდგომარეობაც საბოლოოდ გამორკვეული. საკითხი ძალამ და მოქმედებამ უნდა გადასჭრას. ორში ერთი: ან მთავრობამ უნდა დაიმორჩილოს წარმომადგენლობითი და საზოგადოებრივი რუსეთი, გამოაცხადოს თავისი დიქტატურა და ომიცა და ქვეყნის მართვა-გამგეობაც თავის ჭკუაზე და სრულის თავის პასუხისმგებლობით აწარმოვოს, ან კიდევ წარმომადგენლობითმა და საზოგადოებრივმა რუსეთმა არსებულ მთავრობას გვერდი აუქციოს, გაჩინოს თავისი მთავრობა და მასთან ერთად დაიკისროს ომის გაძღოლაც და შინაური მართვა-გამგეობაც. დაყოვნების დრო აღარ არის. მომენტი ფიცხელ მოქმედებასა და გაბედულ ნაბიჯს მოითხოვს. ქვეყანას შემზარკველ ორჭოფობაში ყოფნა აღარ შეუძლიან, ეშურება ძალთა გაბათილების წრე გაარღვიოს და მოქმედებისთვის ერთი რომელიმე გეზი და მიმართულება გაიწაღდოს. ასე იქნება თუ ისე, ქვეყანას ერთი გარკვეული ნებისყოფა და დირექტივა უნდა განაგებდეს, ეს არის დღევანდელ მომენტის უუმწვავესი პსიხოლოგიური მოთხოვნილება. ფაქტები გვაქვს იმისა, რომ მთავრობაც შესდგა ამ გზაზედ და საზოგადოებრივი რუსეთიც, სახელმწიფო სათათბიროს სახით. ისიც სცდილობს და მოქმედობს, რომ თვის ნებისყოფასა და ბრძანებას დაუქვემდებაროს ქვეყანა და ესეც.

საზოგადოებრივი რუსეთის არმიას ფაცა-ფუცი დაეტყო. სათათბიროს გახსნის მოლოდინში გაფიცვების სუნი დადგა და პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსმა, გენ.-ლეიტ. ხაბალოვმა, 8 თებერვლის თარიღით, ოფიციალის მოწოდებით მიმართა მუშებს, არ გაიფიცოთ და სამშობლოსა და მებრძოლ ჯარს ზურგში სატევარი არ ჩასცეთო. ხალხში ნელ-ჩუმი მღელვარება დაიწყო. დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა განცხადება მიართვა სახელმ. სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს, ეშუამდგომლნა მთავრობის წინაშე, მკაცრი ზომები არ ეხმარათ მშვიდობიან ბრბოს წინააღმდეგ. გლეხ დეპუტატები ოფიციალად ესაუბრნენ მიწადმოქმედების მინისტრს და მოსთხოვეს გლეხთა მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებათა გაფართოება. მინისტრმა მიუგო, რომ ეს მის კომპეტენციაში არ შედის. პეტროგრადში არც ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი არ გამოდის. უკანასკნელ სხდომის იერიშით სახელმწიფო სათათბირომ სურსათის საქმე მთავრობას ჩამოართვა და თვითვე ჩაიბარა. მთავრობამ ამაზედ სახელ. სათათბიროს და სახელმ. საბჭოს დათხოვნით გასცა პასუხი. ერთის სიტყვით, „alia jacta est". ერთიც და მეორეც თავთავის ლოღიკის უკიდურეს განვითარებას დაადგა და ამის შესაფერ აოქმედებასაც აწარმოებს. თითოეულის გამარჯვება მის საკუთარ ძალასა და შემოქმედებით უნარზეა დამოკიდებული. გამოსაცნობი ისაა, რომელისამე გამარჯვება აწინდელ მდგომარეობას უშველის თუ არა!

გ. ვაშაძე.

## ჩვენი აბრეშუმი

უბედურს ფეხზე შემოუტანია ჩვენს ძველს ლეწმის ქილაში აბრეშუმის თესლი. საუკუნეთა განმავლობაში ეს კულტურა ჩვენში ვრცელდება და, მიუხედავად ამისა, ჩვენი მეაბრეშუმეობა ჯერ კიდევ პირველს საფეხურზე დგას. წინსვლისა და პროგრესის ნაცვლად ჩვენი მეაბრეშუმობა ერთს ნაბიჯს რომ წინ გადასდგამს, ორს უკან დაიხევს. ასე წლიდან-წლამდის მატულობს ჩვენს ქვეყანაში მოყვანილ პარკის რაოდენობა. მეაბრეშუმეობა ჩვენის ქვეყნის ახალს კუთხეებს იკავებს, მაგრამ ამასთანავე არავითარი წინსვლა არ ეტყობა ამ სიმდიდრის გონიერად გამოყენებას. ჩვენი პარკი მარსელის საქსოვ ქარხნებს ამუშავებს და, მარსელმა თქვენი ჭირი წაიღოს, ნუხის წარმოებათა მასალად გამხდარა. ჩვენს წინაპრებს კი არა მარტო პარკის მოყვანა სცოდნიათ, არამედ აბრეშუმის ძაფის ამოღება და მისი ქსოვილებად ქცევაც. ჩვენს ქვეყანაში ნაქსოვი აბრეშუმი თითქმის სავსებით აკმაყოფილებდა შინაურ ბაზარს და ხორასანის ქსოვილები იშვიათ ფუფუნებად იყო მიჩნეული.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში ფაბრიკებში ნაქსოვი აბრეშუმი შემოიჭრა, ჩვენი სააბრეშუმო შინა მრეწველობა დაეცა და ამ ჟამად იმერეთის სოფლებში აბრეშუმის ლეჩაქებს თუ მოქსოვენ, თორემ დანარჩენი საქონელი ჩვენს სამშობლოში რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოაქვთ. იყო ჩვენში საქსოვ ფაბრიკების დაარსების ცდაც. არაფერი გამოდნა. ზოგი არეულობის მიხედვით დაიხურა, ზოგი კი ჩვენებურ გაუტანლობისა და მოუმზადებლობის გამო. ერთ მოსკოველ ფაბრიკანტს სამტრედიაში საუცხოვო საქსოვი ჰქონდა მოწყობილი, მაგრამ მოძრაობის დროს დახურა და მას შემდგომ ვერავინ იპოვა ადგილობრივ, რომ ეს ფაბრიკა მისთვის მეტად იაფ ფასებში მიეცა. წარსულ წელს მოსკოვიდანვე მოვიდა სომეხი ფაბრიკანტი და ეს წარმოება განაახლა.

როგორც მეურნეობის სხვა დარგში, ისე მეაბრეშუმეობაშიაც, ჩვენ შავ სამუშაოს ვსჯერდებით. მოგვყავს თამბაქო, აბრეშუმის პარკი და სხვა სამეურნეო ნაწარმოები, რომ ნედლი საქონელი გროშის ფასად სხვას გადავცეთ და შემდგომ გადამუშავებული სისხლის ფასად შევიძინოთ.

ეხლახან ჩვენს სამშობლოში ეკონომიური ძიება და საქმიანობა რომ იბადება, ის თუ გვიხსნის, თორემ ასეთი ეკონომიური ვითარება ფრიად სახიფათოა ჩვენის ეროვნულ არსებობისათვის.

ჩვენის მეაბრეშუმობის მოუწყობლობა მარტო ამით კიდევ არ განისაზღვრება. ჩვენი ქვეყანა დიდძალ აბრეშუმის გრენის, თესლს ხმარობს და ეს სულ უცხო ქვეყნიდან შემოგვაქვს.

იმერეთში 1909 წელს 84 ათასი კოლოფი გრენა გასაღებულა, ამერეთში კი 14 ათასი კოლოფი. ჩვენს ქვეყანას დაახლოებით ასი ათასი კოლოფი გრენა სჭირია და ეს სულ ოსმალეთიდან და საფრანგეთიდან შემოგვაქვს. ძნელი მაინც იყოს აბრეშუმის თესლის ადგილობრივ გადარჩევა! ოსმალეთსა და სპარსეთში, სადაც ჩვენზე ბევრად ნაკლები აბრეშუმი მოდის, მრავლად მო-

ეპოვებათ სერეზიკოლური სადგურები. ამ სადგურებზე სწმენდენ ადგილობრივ თესლს და ჩვენზე ჰყიდიან. აბრეშუმის თესლის ადგილობრივ დამზადება რომ დავიწყოთ, ეს იმითაც იქნება სასარგებლო, რომ ადგილობრივ აბრეშუმის თესლის ჭია ჩვენს ჰავას უფრო კარგად აიტანს და ნაკლებად იავადმყოფებს. ამ უკანასკნელ ხანში თბილისის სააბრეშუმო სადგურმა დაიწყო ადგილობრივის თესლის გადარჩევა და ვნახოდ რამდენათ შესძლებს ის ამ საქმის განვითარებას. ყოველს გაზაფხულზე გაფაციცებით ვეიხდება აბრეშუმის გრენის ძებნა. ხშირად საკმაოდ ვერ ვშოულობთ და კიდევ უფრო ხშირად უვარგის თესლს ვღებულობთ და ამის გამო ჩვენი სოფელი ხშირად დიდად ზარალობს.

მიუხედავად მეაბრეშუმეობის ასეთ პრიმიტიულ მდგომარეობისა, ჩვენს ქვეყანას მაინც საპატიო ადგილი უკავია აბრეშუმის მსოფლიო ბაზარზე. ხუთის წლის საშუალო რიცხვი რომ ავიღოთ (1901—1905 წ. წ.), საფრანგეთს მოუყვანია 1,441,000 გირვანქა პარკი, ავსტრო-უნგრეთს 768,000 გირ. კავკასიას 953,000 და სხ. რასაკვირველია, აბრეშუმის მოყვანაში უპირველესი ადგილი ინდოეთს, ჩინეთს და იტალიას უჭირავს. თითეული ეს ქვეყანა ათ ათ მილიონ გირვანქა პარკზე მეტს იძლევა.

1909 წელს ამერეთ-იმერეთში 124,000 ფუთი პარკი მოიყვანეს,—დაახლოებით ნახევარი იმისა, რაც მთელს ამიერ კავკასიაში.

მეაბრეშუმეობას ჩვენს ქვეყანაში დიდი მომავალი აქვს, თუ კი მას დროზედ ვუპატრონეთ. ამ ჟამად სააბრეშუმო სეზონი იწყება და სასარგებლო იქნება, თუ კი ჩვენის მეაბრეშუმობის მდგომარეობას გავიხსენებთ. ადგილობრივ მასალის ჩვენს ქვეყანაშივე დასამუშავებლად. საქსოვი ფაბრიკების მოწყობა ვოქვათ რთული საქმეა და ის კაპიტალს, ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს. სერეზიკოლური სადგურების მოწყობა ადგილობრივის თესლის გადასარჩევათ, თუმცა მეტად მარტივი საქმეა, მაგრამ, ვთქვათ, ამასაც ერთგვარი ცოდნა და გამოცდილება სჭირია.

მაგრამ ძნელია ადამიანი შეურიგდეს იმ გარემოებას, რომ ჩვენ გლეხს ბაზარზე გამოუხრჩობელი პარკი გამოაქვს და ამის გამო მას საქონელი ხშირად გზაშივე უფუჭდება. გამოსახრჩობი ქვაბების მოწყობა სულ რამოდენისამე ას მანეთის საქმეა და მას არც განსაკუთრებული სპეციალური ცოდნა და გამოცდილება სჭირია. კავკასიის სააბრეშუმო სადგურს დიდი შრომის გაწევა არ დასჭირდებოდა პარკის ასეთ სახრჩობის გასავრცელებლად. მხოლოდ რამოდენიმე მომქმედი ინსტრუქტორი იყო საკმაო. გამხმარი პარკი კი სულ სხვა საქონელია. იმისი შენახვა დიდი ხნობით შეიძლება და მწარმოებელიც არ ხდება იძულებული პარკი დაჩქარებით მისცეს პირველს მყიდველს იაფ ფასად. სოფლის ამხანაგობებს და კოოპერატივებს ამ მხრივ სოფლისთვის დიდის დახმარების გაწევა შეუძლიათ.

ა. ახათიანი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ოფიციალ დეპეშის გადმოცემით აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე ზოლოჩევთან გერმანელებს იერიში მოუტანიათ, დაუპყრიათ პირველი წყება სანგრებისა, მაგრამ რუსის ჯარს კონტრ-იერიშით უკანვე დაუბრუნებიათ დაკარგული ადგილები. რუმინეთის ასპარეზზე ქ. ოკნასთან რუს-რუმინელთა ჯარების მიერ დაწყებული კონტრ-იერიშები იმ სამ მაღლობის დასაბრუნებლათ, რომელიც მათ დაჰკარგეს 23 თებერვალს, უშედეგოდ დამთავრებულა, რადგან ამის შესახებ რუსეთის სამხედრო შტაბი აღარაფითარ ცნობას აღარ გვაწვდის. არც ის ვიცით, მესოპოტამიაში ქ. ბაღდადის აღების შემდეგ ინგლისის ჯარმა შეაჩერა წინსვლა, თუ მტერს ისევე ფეხდაფეხ მისდევს. შესაძლებელია, ინგლისელები დროებით მართლაც ქ. ბაღდადში გაჩერდნენ და ბარათოვის რაზმის მისვლას მოელოდინონ. თვით ინგლისელებისათვის უპირველესად საჭიროა ბაღდადის გამაგრება და ყოველგვარ სამხედრო მასალის მოგროვება და დამზადება. მესოპოტამიის დედაქალაქი ინგლისელებმა ბაზად უნდა გადააქციონ, თუ კი სურთ მათ მომავალი საფრთხე თავიდან აიცილონ. ოსმალები არც ისე ადვილათ დასტოვებენ ამ ქალაქს და ყოველთვის შეეცდებიან ადრე თუ გვიან როგორმე ინგლისელები იქიდან განდევნონ.

X.

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

1 მარტი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ზოლოჩევის მიმართულებით, პერეპელნიკი—გუკალოვცის მიდამოებში, მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა ჩვენს სანგრებზე და რამდენიმე სანგარი დაიჭირა, მაგრამ სამაგიერო იერიშით კვლავ აღვადგინეთ ჩვენი მდგომარეობა და მტერი თავის სანგრებშივე მივაბრუნეთ.

**რუმინეთის ასპარეზი.** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. კიმპოლუნგის მიდამოებში გერმანელების საფრენი ჩამოვაგდეთ. დაჭრილი მფრინავები დავატყვევეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** საკიზის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა აიღო შეინადერი, ბანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 25 ვერსზე.

### ინგლისი

**ლონდონი.** საფრანგეთის ასპარეზზე მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ცნობა. გერმანელების 9 საფრენი განადგურებული თუ დაზიანებული ძირს დაეშვა, 4 მათგანი ნამდვილად დაღუპულია. ჩვენი 5 საფრენი უკვალოდ დაიკარგა.

### იტალია

**რომი.** იტალიის მთავარბანაკის ცნობა. ტრენტინის ბრძოლის ხაზზე გუშინ ზარბაზნები მედგრად ამოქმედდა. ტავინოლოს ველში (ავიზიო) მზვერავთა და მოწინავე რაზმთა მოქმედება გაცხოველდა. ჩიმა-ბოკის სამხრეთ ფერდობებზე მოპირდაპირის შემოტევა შევაჩერეთ. იულის ალპებში ჩვეულებრივი სროლა იყო კონსტანევიცის მიდამოში. კარსოზე ალყაშემოვარტყით მტრის სადარაჯოს, 9 კაცი დავატყვევეთ, მათ შორის 1 აფიცერი.

### დანია

**კოპენჰაგენი.** ვაშინგტონიდან გერმანეთის საელჩო შემადგენლობით აქ მოვიდა გერმანეთის ვაშინგტონელი ელჩი გრაფი ბერნსტორფი და ხვალ სწრაფი მატარებლით ბერლინში მიემგზავრება.

### იაპონია.

**ტოკიო.** საზღვაო მინისტრმა გამოაცხადა: რადგანაც იაპონიის ზღვებში გერმანელების წყალქვეშები გამოჩნდა, მოკავშირეთა სავაჭრო გემებს თან გაჰყვება იაპონიისა და ინგლისის სამხედრო გემები. ჯერ უნახავთ გერმანელების წყალქვეშა „69“.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ინგლისი

„რ. ვ.“-ის თანამშრომელი დიონეო ლონდონიდან იწერება: წინად ინგლისში სახნავ-სათეს ადგილებს პარკებად და საძოვრებად აქცევდნენ ხოლმე, ეხლა კი საქმე შეატრიალეს: საძოვარი და პარკები გადააშავეს და ხორბლეულს სთესენ. ინგლისური პარკები თვალუწვდენელი, ხელოვნურად მოწყობილ მობიბინე მინდორს წარმოადგენს აქა-იქ მუხნარით, წიფლნარით და წაბლნარით მოსილს. შიგ ჯოგად და ჯოგად ნავარდობენ შვლები, გუნდგუნდად ფრინავენ მოშინაურებული ფრინველები, ხელოვნურ ტბებზე დასცურავენ თეთრი, შავი თუ ავსტრალიელი წითელნისკარტა გედები. პარკის ერთი კუთხე უღრან ტყეს მოგაგონებთ.

დღეს ასეთ პარკებში გუთანი ყამირს აბრუნებს და მთესავი ხორბალს სთესს. ლონდონის გვერდით, მდ. ტემზას აყოლებით გაშენებულია რიჩმონდის პარკი, რომელიც 2000 დესეტინას შეიცავს. ამ დღეებში აქ ამუშავდა 28 ცხენის ძალიანი გუთანი. მის საცქერად ლონდონიდან გაზეთების აუარებელი თანამშრომელნი, ფოტოგრაფები, კინემატოგრაფები მოდიან. 100 დესეტინა უკვე მოიხნა.

ინგლისში სახნავი მიწა 11 მილიონ დესეტინას უდრის, საძოვარი კი 20 მილიონს.

ფერმერები მუშა ხელის ნაკლებობას უჩივიან. მათ განაცხადეს: „თუ მუშა ხელი არ გვეყოლება, პურიც არ გვექნებაო“. მთავრობა დედაკაცების ლაშქარს ადგენს სამეურნეო მუშაობისათვის. განზრახვა აქვთ ბ[illegible]თ[illegible]ს დედაკაცს მაინც მოუყარონ თავი. ისინი ექვსი კვირის კურსს გაივლიან სასოფლო მეურნეობისას. მომზადებულ ქალებს ფერმებში გაგზავნიან სამუშაოდ.

### გერმანეთი

„რ. ი.“-ი გადმოგვცემს გერმანელების გეგმას წყალქვეშა ბრძოლის საწარმოებლად. გაზეთს ცნობილ გერმანელთა მოსაზრებანი მოჰყავსთ. გერმანეთის საზღვაო მინისტრი ადმირალი კაპელლე „ლოკალ-ანცეიგერ“-ში სწერდა, თურმე, წყალქვეშ ბრძოლის გაჩაღებამდე: ინგლისის სავაჭრო გემების ტვირთმზიდველობა საერთოდ 124 მილიონ ფუთს უდრის. ინგლისს ორ თვეში ისეთს პირობებში ჩავაყენებთ გემების დაღუპვით, რომ დაიმშევა; მის მოკავშირეებს კი შემოაკლდებათ ქვანახშირი და ლითონიო. შვეიცარიის მცოდნე პირთა აზრით ინგლისი შეიძლება 3—4 თვეში დაიმშესო.

### საფრანგეთი

საფრანგეთის ასპარეზზე შარშან, ვერდენთან შეტევის დროს, გერმანელებს ჰყოლიათ 124 დივიზიამდე. წელს ამ ასპარეზზე უკვე 135 დივიზია ჰყავთ, ე. ი. 4 მილიონზე მეტი. შოშსკის ცნობებით, ამ ასპარეზზე მოკავშირეებსაც დიდძალი ჯარი ჰყოლიათ. მარტო ინგლისელებს, მისი ვარაუდით მილიონნახევარი მეომარი ჰყოლიათ. ფრანგებსაც გაუმრავლებიათ ჯარი.

### მარქაფა ჯარი.

„ბ. ვ.“-ის სამხედრო მიმომხილველი გადმოგვცემს: ჰინდენბურგს შუა გერმანეთში დარაზმული ჰყავს მარქაფა ჯარი, რომლის რაოდენობაც 200 დივიზიას მაინც უნდა უდრიდესო, ესე იგი 5 მილიონ მეომრამდე. ამათ გარდა ახლად გაყვანილი ჯარისკაცები, განკურნებული მეომრები და სხ. რომელთაგანაც რამდენიმე ათეული დივიზია შესდგებაო.

## უკანასკნელი ცნობები

ამ უკანასკნელ დღეებში პეტროგრადში გაზეთები არ გამოსულა გარდა „ზემშჩინისა“, „ხვეტისა“ და „მთავრობის უწყებისა“.

—

26 თებერვალს თავრიდის სასახლეში რიტისს გლეხი დეპუტატები წარუდგნენ. რიტისს ეგონა, რომ გლეხები მინისტრს თანაგრძნობას გამოუცხადებდნენ, მაგრამ გლეხებმა, წინაამდეგ მოლოდინისა მოითხოვეს მტკიცე ფასები დაცულ იქმნას ახალ ჰინახულის მოსვლამდე. ეს მტკიცე ფასები დაწესდეს ყოველ საგანზე, რომელიც კი სოფლად იხმარება. გაფართოვდეს მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლება გლეხებისა, უფლებით გლეხები გაუთანასწორდნენ სხვა წოდებებს და დაარსდეს საოლქო კომიტეტები. რიტისმა უპასუხა, პოლიტიკურის და მოქალაქეობის უფლებათა მინიჭების საქმე ჩემს ხელთ არ არის და ამიტომ საჭიროა ამ საგნის შესახებ წერილობით მომმართოთო.

—

პეტროგრადში წარმოდგენა მხოლოდ საიმპერატორო თეატრში იყო, ხალხი ნაკლებად დაესწრო. კინემატოგრაფები ცხრა საათზე დაიკეტა.

—

დეპუტატთა ჯგუფმა როძიანკოს წერილობით მიჰმართა იშუამდგომლოს მთავრობასთან, რათა მან უკიდურეს საშუალებას არ მიჰმართოს მშვიდობიან ხალხის წინააღმდეგ.

—

ლონდონიდან იტყობინებიან: ბაღდადის აღება დიდს გავლენას მოახდენს სამხრეთ სირიასა და სომხეთზე და აგრეთვე—მესოპოტამიასა, აღმოსავლეთ სირიასა, სპარსეთსა და ავღანისტანზეო. ინგლისელების აზრით, ბაღდადის აღება აღმოსავლეთში ჩვენის სახელის აღდგენას ნიშნავსო.

—

გენერალი კარანცა მექსიკის პრეზიდენტად აირჩიეს.

—

როგორც ამბობენ, ფრონტზე ყვავყურნები გამრავლებულა. გერმანელები ამ ყვავ-ყურნებს ჰხოცავენ და კონსერვებს აკეთებენ.

—

გერმანელების გამოანგარიშებით ინგლისი ორ თვეზე დაიმშევა; ხოლო შვეიცარიის მცოდნე პირთა გამოანგარიშებით—ოთხს თვეზეო.

—

გერმანეთს ჩინეთისთვის შეუთვლია, წყალქვეშა ბრძოლას არ შევსწყვეტ, მხოლოდ შეიძლება ზომები იქმნეს მიღებული, რომ ჩინეთის სავაჭრო ნავებს არაფერი ევნოსო.

—

ლონდონში მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია, რუმინეთს ერთი მილიარდი ფრანკი სესხად მისცეს. რუმინეთის ტერიტორია ხელიდან არის წასული და არავითარი შემოსავალი აღარ აქვს, ამიტომ ერთგული მოკავშირე ინგლისი რუმინეთს უნუგეშოდ არ სტოვებს.

## ახალი ამბავი

◆ **მეფის ნაცვლის წაბრძანება.** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა კავკასიის მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ორშაბათს 27 თებერვალს, საღამოს 10 საათზე ბათომში წაბრძანდა.

◆ **სახადი თბილისში მძვინვარებს.** ამ ჟამად თბილისში 155 კაცია ავათ სახადით.

◆ **ფულის მაგიერ მარკები.** გუბერნატორი აცხადებს, რომ ფულის მაგიერ მარკები ყველამ უნდა მიიღოს. დამნაშავენი ადმინისტრაციულ წესით დაისჯებიან.

◆ **ხანდრო შანშიაშვილის** თხზულებაზე ხელის მოწერა დაიწყო. გამოვა 26 წიგნი. ხელის მოწერა 26 წიგნზე ღირს 15 მანეთად. შეიძლება სამს ნაწილად. გადასახადი თითო ნაწილზე 5 მანეთია.

◆ **ახლად გარდაცვალებულ ამიერკავკასიის მუფტის** ჰუსეინ ეფენდი გაიბოვს ანდერძად დაუბდია, ქელეხი არ გამართოს, ქელეხის მაგიერ ფული რასმე კეთილ საქმეს მოახმარეთო. განსვენებულის შვილებს 1000 მანეთი გადაუციათ მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარისათვის.

◆ **გარდაცვალება.** ფერშალი ქალი თ. პაპიაშვილისა შავის სახადისაგან გადამდებ სენიანთა ლაზარეთში 25 თებერვალს გარდაიცვალა.

◆ **ახალი წიგნები.** მოგვივიდა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამოცემები: „ელისო“ ალ. ყაზბეგისა (25 კაპ.) და „სახალხო ასტრონომია“ ნაწილი მესამე, ნ. კალანდაძისა (60 კაპ.)

◆ **საქონლის ჭირის წინააღმდეგ.** მოგვივიდა დარიგება (კედლებზე გასაკრავი ფურცელი), თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ საქონლის ჭირის გავრცელებას. გამოცემულია ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ.

◆ **საგანგებო თათბირი.** ხვალ, სამ მარტს, საღამოს 8 საათზე, ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერებს კერძო თათბირი ექნებათ ბანკის ბინაზე, შესახებ გამგეობისა და საბჭოს წევრების არჩევისა, რაიცა ხუთ მარტს უნდა მოხდეს.

◆ **გაპარტახებული მამულების ბედი.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით, ართვინის ოლქის ზოგიერთ სოფლების გაპარტახებული მამულები იჯარით გაუცია ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამართველოს. ამის გამო საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ სთხოვა საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას გამოარკვიოს საქმის ნამდვილი მდგომარეობა და თანაც წარსული წლის საიჯარო ფული წარადგინოს სახელმწიფო ქონებათა სამართველოში.

◆ **გადამდები სნეულებანი.** ლაზარეთში № 40, 1 მარტს ირიცხებოდნენ: ყვავილიანი 51, ქუნთრუშით 87, ხუნაგით 10, საოფლიანი 22, საოფლით შეპყრობილი 19, შავი სახადიანი 950 კაცი, რომელთაგან 862 სამხედრო წოდებისანია და 165 კაცი მოქალაქეთაგან.

◆ **თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის** ინსპექტორად, როგორც სარწმუნოდ ამბობენ, ნიშნავენ დეკანოზს ბენიამინე კონტრიძეს, რომელსაც ყაზანის სასულიერო აკადემია აქვს დასრულებული და ამ ჟამად ბაქოში მსახურობს, როგორც იქაური ტაძრის წინამძღვარი და გიმნაზიის მასწავლებელი.

◆ **ვალერიან გუნიას ბიუსტი.** მ. ჭიაურელს დაუსრულებია ვალ. გუნიას ბიუსტი. ბიუსტი ცოცხალი გამოხატულებაა პატივცემულ და მცხოვან მოღვაწე მსახიობის და დრამატურგის ვ. გუნიასი. ფრიად სასურველი იქნება, ეს ბიუსტი საიუბილეო კომიტეტმა ღია ბარათად გამოსცეს.

◆ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** წევრთა კრებამ 28 თებერვალს მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება უგ. თავ. პ. ა. გრუზინსკის დამოკიდებულების შესახებ ფრიდონოვის ფირმასთან გოგირდის გამო, იმ დროს, როცა თავ. გრუზინსკი საზოგადოების პრეზიდენტად იყო. სარევიზიო კომისიას პ. ა. გრუზინსკის საქციელი ურიგოდ უცვნია. კრებამ დაადგინა დაბეჭდოს კომისიის მოხსენება და დაურიგოს საზოგადოების წევრებს საქმის დაწვრილებითი შესასწავლათ, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება უტყუარი მსჯავრის გამოტანა.—კრებამ აგრეთვე მოისმინა აგრონომ დორმანის მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ ანადგურებენ მუხის ტყეებს ამიერ კავკასიაში და რა ღონისძიებანი უნდა იქნას მიღებული მათ გადასარჩენად. როგორც მოხსენებიდანა სჩანს, ერთი უმთავრესი მიზეზი მუხის ტყეების განადგურებისა ის ყოფილა, რომ მუხის ქერქს ხშირობენ ტყავების მოსაქნელად და ამისათვის წლიურად იხარჯება 150 ათას ფუთამდე ქერქი, კრებამ, თანახმად მოხსენების დასკვნისა დაადგინა: 1) რჩევით მიმართოს ტყავეულობის ქარხნებს, რომ ნაცვლად მუხის ქერქისა გამოიყენონ სხვა ჯიშის ტყეთა ქერქი, 2) სთხოვოს მთავრობას, ენერგიული ღონისძიება იხმაროს მუხის ტყეების გადასარჩენად და 3) შესაფერისი რჩევა-დარიგება დაბეჭდოს ადგილობრივ ენებზე ხალხში გასავრცელებლად.

◆ **კავკასიის საიმპერატორო, ქართულ და სომხურ სამეურნეო საზოგადოებათა** წარმომადგენლებმა შუამდგომლობა აღძრეს მეფის ნაცვლის წინაშე, რომ კოოპერატივთა თავმჯდომარენი, მოანგარიშეები და სავაჭრო საქმის გამგენი დროებით განთავისუფლებულ იქმნენ სამხედრო ბეგარისგან.

◆ **ქ. შ. წ. კ. გ. სა—ბის სტიპენდიების ნაშთების განაწილება.** სტიპენდიების ნაშთებიდან ერთდროული დახმარება მიეცათ 12 სტუდენტს: დავით თოიძეს 100 მანეთი, თამარ მიქაძისას 100 მან., მიხეილ ტყავაძეს 100 მან., ილია ნუცუბიძეს 100 მან., დავით იაშვილს 75 მან., იოსებ მჭედლიშვილს 75 მან., ვასილ მატაბელს 75 მან., ეფრემ ჩახუნაშვილს 75 მან., ვალენტინა სუპატაშვილისას 75 მან., გიორგი ტრანქაშვილს 75 მან., არჩილ ნაცვლიშვილს 75 მან. და გრიგოლ დიდებულიძეს 75 მან.

◆ **შეპყრობა.** პოლიციამ შეიპყრო დეზერტირები: კონსტანტინე ბაღდანოვი, ავეტის ოგანესიანცი, მიკირტიჩ ეროიანცი, პაფის სინიაევი, მიხეილ პარაჯანოვი, ალექსანდრე არუტუნიანცი, ალექსანდრე სუკუიანცი, გიორგი ალიკულაშვილი, მოშე ბალიაროვი, საშა დავითაშვილი, გრიგოლ ხანთიმიძე, აბრამ გორელაშვილი, მიკირტიჩ პაპაიანცი, მოსე მოშეშვილი, მორდუხ სარეიდარი, ალექსანდრე პაშკოვი, ალექსანდრე ოხერვერიაშვილი, ალექსანდრე ულუმაშვილი, ტიგრან პეტროსოვი, იაკობ ლარერაშვილი, ბენიამინ გორელაშვილი, აკოპ არამიანცი, ბაგდასარ ნავტიკოვი, აბრამ შემან-ეფრემოდელი, იონეს არასიანცი, ბორის ბარათაშვილი, დავით ბოჟენოვი, ვასილ ტერმოსესოვი, ივანე მემაპაშვილი, ისხაკ ჟდანაშვილი, და ერთიც მეორე ხარისხის მოლაშქრე ვასილ დუმბაძე, რომელიც არ გამოცხადდა სამხედრო ბეგრის მოსახდელად.

### ქუთაისი.

სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა არჩევნები დამთავრდა. თავ. ნიჟარაძის პარტია სრულიად დამარცხდა.

### ბათომი.

შავშეთის ექვსი სოფელი: სამცხარი, კონტრომი, ანჩი, კაშისინი, სოლიანა და ესტამელი სთხოვს საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას ქართულ სკოლის გახსნას.

— ქალაქის თავად ერთხმად ამოირჩიეს რეჯებ-ბეგ ნიჟარაძე.

### გუმბრი.

ჯარში დიდძალი მცირე წლოვანი მოხალისენი არიან, ესენი სამხედრო უწყებას მხოლოდ ზედმეტ ხარჯს აძლევენ. ამიტომ კავკასიის მხედრობის მთავარსარდალმა ბრძანება გამოსცა, რომ ის მოხალისენი, რომელთაც ჯერ ჯარში გაწვევის დრო არ მოახლოვებიათ, დათხოვნილ იქნენ სამხედრო ნაწილებიდან და გაგზავნონ მათს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

### საგარეჯო.

სადგურ საგარეჯოს ახლოს ნიკოლოზ ბუზარიაშვილის დუქანს თავს დაეცა 5 შეიარაღებული ბოროტ გამზრახველი წაართვეს 1410 მანეთი და სხვა საქონელი.

### მარიამჯვარი (თბ. მაზ.)

23 თებერვალს სოფ. მარიამჯვარის მცხოვრებ ვასილ გოცირიძეს თავს დაესხნენ საკუთარ ბინაზე 6 შეიარაღებული ბოროტგამზრახველი. წაართვეს 400 მანეთი და სანადირო თოფი.

### ხაშმი (კახეთი).

გაიმართა დამფუძნებელი კრება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ხაშმის განყოფილებისა.

### თელავი.

სოფ. სანიორედან თელავში მომავალ ვართანა არუთინოვს (ტუშკაშვილს) დახვდა სოფ. შაქრიანის ბოლოზე რამდენიმე შეიარაღებული ავაზაკი, ეტლიდან გადმოიყვანეს არუთინოვი და ტყეში გაიტაცეს.

— აქ სრულიად გამოილია ფქვილები და შიმშილობა ჩამოვარდა; აუარებელი ხალხი დადის ბაზარში, დაეძებს პურს, მაგრამ ვეღარსად შოულობს.

— 25 თებერვალს საკრებულო დარბაზში [illegible] ცეკვის [illegible] უჩვენებდა ხალხს, მოულოდნელად შევარდა მთვრალი ჯარისკაცი, ვინმე გაგუნაშვილი, ასტეხა აურზაური, ჩალეწა ელექტრონის ლამპები, გადაყარ-გადმოყარა სკამები და ყველაფერს მტვრევა დაუწყო, რაც კი ხელში მოხვდა. როდის-როდის, ძლივს იპოვეს და მოიყვანეს ორი პოლიციელი, მაგრამ ვერც იმათ შესძლეს მისი გაჩერება-შეპყრობა ვიდრე არ მოიშველიეს რამდენიმე თოფიანი ჩაფარი.

### ამბალა.

გახსნეს მომხმარებელთა კოოპერატივი. ამოარჩიეს გამგეობა: გამგედ ჰყონია, თანაშემწედ მღვდ. ელიზბარაშვილი, ხაზინადრად და საქმის მწარმოებლად მღ. ნიკ. კანდელაკი, წევრებად: გენერალი მადერი და მღ. ეპიფანე სხირტლაძე.

— გლდანის წვრილ კრედიტის საბაზ წლეულ წმინდათ მოიგო 100 თუმანი.

## შეცდომათა გასწორება

ძველი ქართველის გუშინდელ წერილში დაბეჭდილია: ირლანდიელ ჰომრულისტების ავტონომისტების—პარტიას, რომლის არჩეულ ბელადად პარნელის გარდა უკვე 1880 წელს და სხვა... უნდა იყოს: ირლანდიელ ჰომრულისტების — ავტონომისტების—პარტიას, რომლის არჩეულ ბელადად პარნელი გახდა. უკვე 1880 წელს და სხ.

## შენიშვნები

### VI

**ეკონომიური საქმიანობა, უცხო კაპიტალი და სოფლის მეურნეობა.**

საქართველოს ეკონომიურ ვითარების მიმომხილველნი უკანასკნელი ხანისა, თითქოს შეთანხმებულანო, ერთხმად აღიარებენ, რომ ჩვენშიაც წარმოიშვა ის ეკონომიური საქმიანობა, რაიც ჯერხნობით მხოლოდ კაპიტალის დაგროვების პირველ საფეხურს არ გასცილებიაო. ასეთ შეხედულების საწინააღმდეგო არავის რა ექნება, თუ რასაკვირველია, განვითარების ობიექტიური მსვლელობა ამართლებს ამ მეტად დიდის მნიშვნელობის ეკონომიურ მოძრაობას.

რა არის თვით ეს ეკონომიური საქმიანობა? ის ყოველდღიური ბრძოლაა არსებობისათვის, მაგრამ ისეთი კი, რომ აქ ლუკმა პურის შოვნის სფეროს შორდება ადამიანის მოქმედება და მოგების ციებ-ცხელებით შეპყრობილი ათასგვარ ეკონომიური ხასიათის კომბინაციებში ებმება. აქ იმდენ როლს ვერ თამაშობს მომჭირნეობა, რამდენადაც მოქნილობა, სწრაფი მოსაზრება და თვითგარკვევა რთულ ხასიათის მოვლენათა ხლართში. მშვიდობიანობის დროს ასეთი საქმიანობა ნელის ნაბიჯით მიიწევს წინ, ვინაიდან ახლად მოვლენილი საქმის კაცები ვერ ჰპოულობენ შესაფერ ასპარეზს, ბაზარს თავიანთ მოქმედებისათვის ფრთების გასაშლევინებლათ. დღეს კი სახელმწიფო თავდაცვის სახით მოვლენილი სხვა და სხვა ორგანიზაციები იმდენ სამოქმედო სარბიელს უშლის ფულიან და საერთოდ საქმის გაკეთების უნარის მქონე მოხერხებულ საზრიან პირთ, რომ ძნელად თუ ვინმე დადგეს სახლში და ერთხელაც არის არ სცადოს ბედი ამ საერთო ციებ-ცხელებისა და ორომტრიალის დროს. საქმის ხალხი და სხვა და სხვა ბედის მაძიებელნი მიეშურებიან ომის პირის მახლობლად მდებარე ადგილებში, ეძებენ იქ ფულს, მდიდრდებიან და, მოსალოდნელია, ომის შემდეგ გუშინდელი არაფრის მქონენი ახალის კლასის შემქნელ პიონერებად მოევლინონ ჩვენს სამშობლოს. ასეთ იმედებს აღუძრავს ერთის შეხედვით დღევანდელი ომი საეკონომიო ცხოვრების მიმომხილველთ. აქ, როგორც ბ-ნი ანი აღნიშნავს, წვრილ-ბურჟუაზიული ტალღა, რომელიც განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან მომდინარეობს, საქართველოს ეკონომიურად გამაერთიანებელ როლს ითამაშებს.[1]) თუ თან ამ ახლად ფეხადგმულ კლასში ეროვნული მომენტი საერთო გამდიდრების წყურვილმა არ დაჩრდილა, მაშინ იმერეთი აღმოსავლეთ საქართველოს უცხოთა შემოსვლის საფრთხის დაძლევაში მართლაც რომ დაუფასებელ სამსახურს გაუწევს. მიუხედავად ასეთ იმედებისა, აღმოსავლეთ საქართველოს შინაგანი განვითარება თავის-თავად იმდენ დაბრკოლებას შეიცავს, რომ გადაჭარბებულ წარმოდგენისა არ უნდა ვიყვნეთ იმერეთის კულტურულ-ეკონომიურ მისიაზედ აღმოსავლეთში.

[1]) იხ. წერილები ბ-ნ ანისა გასულ წლის „თან. აზრში“ №№ 120—128.

დ. ა—ძე.

აღმოსავლეთ საქართველოს დღეს განსაკუთრებული სატკივარი აქვს, რაც საერთო ეკონომიურ აღორძინების საქმეში ფრიად ხელს შეუშლის ახლად გამოსულ ვაჭარ-მრეწველთა კლასის საქმიანობას. აქ უცხო კაპიტალი აღარ კმაყოფილდება იმით, რომ საქართველოს შუაგული, თბილისი, ეკონომიურად თავის სათარეშო მოედნად გაუხდია, ის, მოცილე ეკონომიურ ძალის სისუსტით წათამამებული, აქედან გადადის სოფლად, იქ ფულით ყიდულობს მიწებს, აჩაღებს სოფლად საკულტურო მუშაობას, ხსნის სკოლებს კერძო შეძლებულ პირთა ხარჯით, განსაკუთრებულ სახელმძღვანელო დირექტივებს აძლევს სამოქმედოდ ტერტერებს, ერთის სიტყვით, ჩვენს თვალწინ სწარმოებს აშკარა პროცესი უცხო კაპიტალის აგრესიულ მოღვაწეობისა. არსებობს კი ისეთი ეკონომიური ძალა ჩვენში, რომ შეაჩეროს ნიღაბ-აუფარებული მოღვაწეობა უცხო კაპიტალისა საქართველოის საზღვრებთა შორის? ამგვარად დასმული კითხვა და მასზე მიცემული პასუხი ამავე დროს წარმოადგენს მთელის საქართველოს აწინდელ და მომავალ მდგომარეობის ამოცნობას.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საქართველო სამეურნეო ქვეყანაა და, ამიტომ, ყოველივე საეკონომიო მნიშვნელობის ნაბიჯი უთუოდ ამ გარემოებასთან უნდა იყოს შეთანხმებული. სამრეწველო ბურჟუაზიის და არისტოკრატიის ინტერესები სხვა ქვეყნებში თუ არსებითად ეწინააღმდეგებიან ერთი-მეორეს, ჩვენში გარემოება იცვლება იმით, რომ არისტოკრატიის მოწინააღმდეგე კლასი, ბურჟუაზია, უცხო ქვეყნიდან შემოჭრილი ელემენტია და პირდაპირ დაინტერესებულია საქართველოს ეთნოგრაფიულ აპრელებით და დაცემა-განადგურებით. რამდენიც უნდა კამათი და განგაში არ ასტეხონ ჩვენმა მტერმოყრებმა წარსულ წელს თბილისში მომხდარ საერობო თათბირის გარშემო, იმან მაინც ფრიად დიდი სამსახური გაუწია საქართველოს ეროვნულ თვითშეგნებას. აქ მოხდა დიდის მნიშვნელობის შეთანხმება სამეურნეო და სამრეწველო საქართველოსი, აქ სოფელი და ქალაქი ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ და ისე შეებრძოლნენ სომხის უმცირესობას, რომელიც იყო მოხსენებულ თათბირზე წარმომადგენელი აღმოსავლეთ საქართველოში მომქმედ უცხო კაპიტალისა. სანამ საქართველოში ვაჭარ-მრეწველთა კლასი არ მოღონიერდება იმდენად, რომ დამოუკიდებლად თავის ძალებით შეებრძოლოს უცხო კაპიტალს, მანამ მიწათმფლობელთა და მიწათმომქმედ კლასთა საერთო გზით სიარული ტერიტორიის დაცვის საკითხში მაინც, რაც ამავე დროს ნიშნავს ბაზრის მოპოვებისათვის ბრძოლას, აუცილებელ და შეძლებ ეროვნულ ინტერესით ნაკარნახევი ტაქტიკური ნაბიჯი იქნება. უცხო კაპიტალი, რომელიც ჩვენში სომხის ხელითაა მონათლული, აღჭურვილია ყველა იმ უარყოფითის მხარეებით, რაც აგრე ახასიათებს ყველა დაპყრობითის მიზნებით აღჭურვილ მოახალშენეთ. განსხვავება მათ შორის კიდევ უფრო უარყოფითად ახასიათებს ჩვენში მომქმედ სომხის კაპიტალს.

ისტორიულად დევნილი და სხვათა ვერ შემთვისე სომხის ერი, თავის კარმიდამოდან აყრილი, განიბნა მთელ დედა-მიწაზე, მაგრამ ისე, რომ კერძოდ კავკასიაში მაინც დაურჩა ადგილ-საყრდენი და თუ წინად აქ ეს მოსახლეობა ჩანასახს წარმოადგენდა, დღეს ის ფეხმოკიდებულ და კულტურით ჯანმოსილ ერთეულს წარმოადგენს. ერევნის გუბერნიიდან დაწყებული თბილისის სამხრეთ მაზრებამდე სომხის ერი ჰქმნის ეთნოგრაფიულ ერთფეროვნებას და, რაც დრო მიდის, ეს ტალღა თანდათან მოიწევს საქართველოს შუაგულისკენ და ამიტომ ის, პირველ ყოვლისა, საქართველოს დედა-ქალაქ თბილისს ემუქრება. ეს ტალღა საქართველოს ევლინება არა მარტო როგორც საკოლონიზაციო კაპიტალი, რომელიც ჩვენს მხარეში აგროვებს ნედლ მასალას, უკეთეს შემთხვევაში, ინდუსტრიულად აქვე გადაამუშავებს მას, ხოლო ზედმეტი ღირებულება გააქვს თავის სამშობლოში და იქ ახმარს სახელმწიფო და სხვა საერო მნიშვნელობის საქმეებსა თუ პირდაპირ წარმოებას. სომხის კაპიტალს ჩვენში თანა სდევს სომხისავე ერის სამუშაო ძალა, რომელიც თავის ჩამორჩენილობითა და უკულტურობით ყოველთვის მეტოქედ და საფრთხედ დარჩება შედარებით კულტურულ ქართველ მშრომელ კლასისათვის. სომხის სოვდაგართა თავის კლასიურ შეგნებას მოკლებული მუშა ელემენტი, ხოლო ეს გარემოება კიდევ უფრო ხელს უწყობს სომხის კაპიტალის აგრესივობას ჩვენში. იქ, სადაც საჭირო დარჩება ქართველ შეგნებულ მუშათა მოთხოვნილებათათვის ლაგამის ადება, სომხის კაპიტალს შეძლება ეძლევა ასპარეზზე გამოიყვანოს სხვა და სხვა ჯურის შემოხიზნულნი და კიდევ უფრო ადრე აქ დამკვიდრებული სომხის გლეხები და მუშები. ერთის მხრით ფული, ხოლო მეორეს მხრით სამუშაო ძალა არის უეჭველი ხელსაყრელი გარემოება უცხო ელემენტთა დაპყრობითის გეგმისათვის ჩვენში. სომხის კაპიტალისტი ჩვენში აპნევს ფულს, იღებს ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ ეს ღირებულება იხარჯება არა ქართველთა საქმეებზე, არამედ წმინდად სომხურზე და, წარმოიდგინეთ, მოგებულ ფულის მცირე ნაწილიც არ გადადის ქართველთა ჯიბეში, ვინაიდან თითქმის ვაჭრობის ყველა დარგი კერძოდ თბილისში სულ მთლად სომხების ხელშია. სომხობა და ქართველობა თბილისში გამიჯნულია კულტურულად, ამ დარგში მათ საერთო არაფერი დარჩენიათ, ხოლო ნივთიერად სომხის ერი კიდევ ქართველობისაგან უფრო დამოუკიდებლად გრძნობს თავს. მხოლოდ ქართველი მომხმარებელი და კერძოდ წვრილი მოვაჭრეები თბილისში ნივთიერად სავსებით დამოკიდებულნი არიან სომხის მსხვილ ბურჟუაზიაზე, და ეს ასე გასტანს, სანამ ეხლანდელ სხვილ ვაჭრობის ყველა დარგში ქართველობა დამოუკიდებლობას არ მოიპოვებს ისე, რომ შესძლოს იაფისა და კარგის საქონლით უზრუნველყოფა თავის მომხმარებლებისა. ეს გარემოება თბილისში ქართველობის ყველა წრეში ჰქმნის საერთო ნიადაგს შეჯგუფებისა და საეროვნო პოლიტიკის წარმოებისათვის. თავადი, მუშა, წვრილი ბურჟუა თუ ინტელიგენტი, ყველა ერთნაირად განიცდის სომხის ჩარჩის მუშტის სიმწვავეს, ყველანი თანაბრად იყვლიფებიან, ხოლო თანაბარი მდგომარეობა მათი გულისხმობს თანხმობით მოქმედებას და განსაზღვრულ ხასიათის კავშირსაც საერთო მტრის დასამლევად.

დ. არონიშიძე.

(დასასრული იქნება)

## „ქართლ-კახეთის ქართული მონასტრები“

ამ სათაურით დაიბეჭდა გაზეთ „საქართველო“-ში ბ. „მორწმუნეს“ სამი წერილი №№ 26, 27, და 29 ამა 1917 წ. უნდა სიმართლე მოგახსენოთ, რომ ბ. „მორწმუნეს“ ზედ მიწევნით სცოდნია მართლა ჩვენის მონასტრების, მათის წინამძღვრების და კეთილ-მოწყესთა საქმენი და გულნაკლულად მოგვითხრობს იმ ამბებს და უსამართლობას, რაც დღეს ჩვენს მონასტრებში ხდება, და ასე უკანონოდ და უპატრონოდ იქცევა თუ ძალად აქცევენ და სპობენ ჩვენს წინაპართა ძვირფას საგანძურებს. და თუ ასე გაგრძელდა კიდევ, სამუდამოთ გამოიკეტება დღევანდელი მონასტრები, როგორც ბევრი სხვა, სადაც ჰრაქვით და ბეუტავენ თითო-ოროლა ბერი და მარტო ყარაულობას და ეწევიან თითქმის უსასყიდლოთ. და ისინიც რომ დაიხოცნენ, აღარავინ არის, რომ მათ მაგიერ სხვები დარჩნენ ანდა უცხონი უნდა დაეპატრონონ, რადგან ჩვენი აღარავინ იქნება, და შორიდგან უნდა გვაცქერინონ და გვაჭყეტინონ თვალები, როგორც დღეს შევცქერით წმ. ნინოს მონასტერს და ჩვენ აღარაფერი გვეკითხება.

ბევრი რამ არის სათქმელი ჩვენის წინამძღვრების მოქმედებაზედ, მაგრამ მე მინდა ზოგი ერთი რამ დავუმატო ბ. „მორწმუნე“-ს წერილს და მკითხველს საზოგადოებას გავუზიარო თუ რას სჩადიან ისინი, რაც მე მინდა მოგახსენოთ, შეიძლება არც მორწმუნემ იცოდეს და არც ქართველთა საზოგადოებამ.

ბ. „მორწმუნე“ სწერს, რომ კვირაში ერთხელ მაინც იბარებს წინამძღვარი მონასტრის ხაზინადარს და უნდა აყიდვინოს სანოვაგე: დოში, ზურგიელი, ხიზილალა, მაკარონი, ბრინჯი და სხვა. ოთხი მეხუთედი თითონ უნდა დაიტოვოს, მონასტრის დავთრით უნდა გაიწეროს, მაგრამ მონასტრამდე კი აღარაფერი აღწევსო. ეს ხომ მართალი არის და ასე სჩადიან, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ მარტო ამას არ სჯერდებიან და მთელის მონასტრის შემოსავლის მესამედსაც ნაღდათ იღებენ ფულად და, ასე გაშინჯეთ, არაყს რომ გამოხდიან შემოდგომაზედ თხლე—ჭაჭასაც, იმასაც კი გადარწყამენ თუნგით და მესამედი წინამძღვარს უნდა მიართვან თბილისში ან და ნათესავები თუ ჰყავს, იქ უნდა გაგზავნონ. ასეთი „უქაზია“ უწ. სინოდისაგან, რუსეთის მონასტრებშიაც ასე არის და ჩვენ ხომ კანონის წინააღმდეგ ვერ წავალთო—ასეთი პასუხი აქვთ გაზეპირებული და კაი ბერი თუ ხაზინადარი იქნება, წინააღუდგება და გაბედავს რასმე, მაშინ ხომ სამართალი ხელში აქვს და თითონ იცის, რასაც უზამს და როგორ დაასმენს მთავრობას; ურჩია, არაფერი ეყურება და გთხოვთ გამოსცვალოთო, ან და საით უკრას თავი და გაძეოს. ხაზინადარიც იმის შიშით, რომ არ გამოსცვალონ, თავს უკანჩურებს: დიახ, ბატონო, თქვენი წილი რაც გეკუთვნით, უნდა მიირთოთო (საუბედუროთ მონასტერში ორი ბერი რომ იყოს, ორივეს ხაზინადრობა უნდათ და ერთი მეორეს ეცილება და არაფერს დაზოგვენ, ოღონდ ხაზინადრად დარჩეს).

წინამძღვრებად ეპისკოპოსნი ლეონიდე და კირიონიც იყვნენ, ნათლის მცემლის, დავით გარეჯის უდაბნოებისა და სხვა. განა ამათ კი არ იცოდნენ ეს რაღაცა „უქაზია“, მაგრამ ესენი არ უკადრიათ და თავის დღეში მესამედები არ აუღიათ მონასტრებიდგან. მთელი შემოსავალი ხმარდებოდა როგორც მონასტრებს, ისე კრებულს და ყველა მადლიერი იყო მათი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი გადაიყვანეს პირველი იმერეთში და მეორე რუსეთში, მერე დაიწყეს მათმა მოადგილეებმა მესამედის აღება და დღეს ხომ ყველა მონასტრების წინამძღვრები იღებენ მათის მიხედულობით თუ კი რამ გაჩნია და აბადია მონასტერს. მონასტრის გამშვენიერებასა და კრებულის შენახვაზედ არას დაგიდევენ, მონასტერი თუ გინდ ერთ დღეს დაიქცეს და კრებულიც მშიერი ამოწყდეს, ოღონდ თავისი მიიღონ და არა დააკლდეთ-რა. ამათი საფიქრებელი და დარდი მარტო ეს არის.

ერთმა ნათლისმცემლის ბერმა შემომჩივლა ამ რამდენიმე წლის წინათ: არ დაიჯერებთ, აღდგომა დღეს ლობიო გვქონდა საჭმელად და იმითი გავიხსნილეთ პირი, რადგან წინამძღვარმა არაფერი გვიყიდა, ფული არა აქვს მონასტერსო. წელიწადში კი ექვსას-შვიდასი თუმანი შემოდისო. იმის სახლში კი რომ მიბძანებულიყავით თბილისში, რა გინდოდა, სულო და გულო მის სტოლზედ არ იყოვო, მაგრამ რას ვიზამთ, მისი ტყუილი გავა და ჩვენი მართალი არა და ისევ ჩვენვე გაგვამტყუნებენ, დაგვსჯიან და ჩვენი პატრონი არავინ არის და ისევ გაჩუმებულნი უნდა ვიყოთო. მაგრამ ღმერთსა ვსთხოვ, რომ მან მისცეს ჩვენ მაგიერი პასუხი და რისხავდეს და გაუწყრეს იოანე ნათლისმცემლის მადლი მას და მის ნათესავებსო, ასე დაამთავრა საუბარი ამ ბერმა.

ჯერ ეს უწმ. სინოდის „უქაზის“ აღსრულება არ იყო შემოღებული ჩვენში, რომელსაც ეხლანდელი წინამძღვრები ასე ერთგულად იცავენ თავიანთ სასარგებლოდ, რომ ერთმა წინამძღვარმა მოიწადინა ამის განხორციელება თავის მონასტერში და უთხრა თავის ხაზინადარს, რომ კანონით მესამედი მეკუთვნის და უნდა ავიღოვო. ხაზინადარი მაგრად დაუხვდა, არ მოერიდა და უთხრა: თქვენ თუ მესამედი გეკუთვნისთ, მაშინ ორ წილს კიდევ ჩვენ კრებული ავიღებთ და მონასტერს რიღათი გავუძღვეთო?—თქვენ აქ ცხოვრობთ, სვამთ, სჭამთ და მე ქალაქში რამდენი ხარჯი მაქვს და ცხოვრება არ მინდაო? ამაზედ ხაზინადარმა უპასუხა: ბატონო, წინამძღვარი ჩვენ აქ გვინდა და არა ქალაქში, დიდი მოხარული ვიქნებით, მობძანდი ჩვენთან, გვიწინამძღვრე, თქვენც იცხოვრეთ და ჩვენც გვაცხოვრეო. ამის შემდეგ ვეღარ გაბედა აღება მესამედი, მაგრამ სამაგიეროდ ჩამოართვა ხაზინადარს შესავალ-გასავლის წიგნი და უთხრა, რომ ბძანება არის რუსულად უნდა სწარმოებდეს წიგნები, შენ არ იცი რუსული და მე ვაწარმოებო და დაიწყო რუსულად წარმოება და რაც კი ნებავდა სასყიდლები თბილისში ყველას ყიდულობდა ვითომ მონასტრისთვის და ხელს აწერინებდა მოვაჭრეებს დავთარზედ ან მარკა დაკრულ *) ანგარიშებს ართმევდა ფულის მიღებაზედ და შიგ დავთარში აკერებდა, ასე რომ მესამედი კი არა, იქნებ ორი წილიც მოსდიოდა.

წლის ბოლოს ანგარიში რომ გათავდება, წიგნები სარევიზიო კომისიაში უნდა წარადგინონ და ხელი უნდა მოაწერონ, როგორც წინამძღვარმა, ისე კრებულმა და დაადასტურონ ვითომ, რომ მართალია და იციან ყველა დანახარჯი თუ შემოსავალი, რაც იქ სწერია, და კაი ბერი იქნება, და გაბედავს ვინმე და იტყვის, მე არაფერი ვიცი და რაზედ მოვაწერო ხელიო. მაშინ კარგი ცხენი უნდა ჰყავდეს, შეჯდეს და მოუსოს, თორემ სულ ერთია, იქ აღარ ედგომილება. აი ასეთი წესები და თვითმპყრობელობაა გამეფებული ჩვენს მონასტრებში და აბა მითხარით, რა უნდა გააკეთონ ამისთანა წინამძღვრებმა!

ერთმა ქვრივმა მღვდელმა სთქვა, ბერობა მინდა, ნათლის მცემლის მონასტრის წინამძღვრობას მაძლევენ და იკითხა, რა არის წელიწადში იქ შემოსავალიო. როდესაც უთხრეს, ექვსასი თუმანიო—იცოტავა, ორასი თუმანი მერგება, ამაზედ მეტს ხომ ეხლაც ვიღებ და მაგითი შვილები როგორ დავზარდოვო და მიანება თავი ბერობას. აი, ამისთანა წინამძღვრებმა რა უნდა გაუკეთონ მონასტრებს, როდესაც იმ განზრახვით მიდის ბერათ, რომ მეტი ხეირი იყვეს, ისევ თავისი შვილები, ნათესავები და ათასი რამ საზრუნავი აქვს და მონასტერზედ კი არაფერი გული არა აქვს და არც არაფერი ბერობისა ესმის რამე. საღმრთო წერილი გვეუბნება, რომ „სადაცა იყვეს საუნჯე თქვენი, მუნცა გული თქვენიო“ და ეს ასეც არის და ამისთანა წინამძღვრების საუნჯე სულ სხვაგან არის და არა მონასტერში და ვერაფერ სიკეთეს ვერ მოიტანენ ისინი მონასტრებისთვის თვინიერ დაქცევისა და გაყვლეფის მეტს. ტყუილად კი არ ეძახდა ნეტარ ხსენებული არხიმანდრიტი ტარასი (ალექსი მესხიშვილი) ქვრივ მღვდლებს, რომელნიც ბერად მიდიოდნენ, ნაკერატლებს. ეს საუკეთესო ნამდვილი ბერი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისა, მგალობელ-მწიგნობარი, მწერალი, საღმრთო წერილის ზედ მიწევნით მცოდნე, მტკიცე და შეურყეველი ხასიათისა, პირში მთქმელი და უშიშარი მთავრობისა, მოყვარული თვისი სამშობლოსი და ერისა და ერთგული მონასტრისა, მუდამ წინააღმდეგი იყო ამისი და ამბობდა: მაგათი გონება და გული ისევ სოფელი, შვილები, ქვეყნიერი ზრუნვა იქნება, მონასტრებს გაკრეხენ და დაანგრევენო. განა არ სრულდება მისი სიტყვა? ერთმა ქვრივმა ღვდელმა ბერობა სთხოვა თურმე ეგზარხოსს ისიდორეს. რასაკვირველია, გაიგო ეს არხ. ტარასიმ და როდესაც რევიზიაზედ იყო წასული არხ. ტარასი, ეს ღვდელი ნახა თავის მრევლში, დაუჭირა ამ მღვდელს ანაფორის საყელო ორივ ხელებით და ხან აქეთ მიაჯღრია, ხან იქით და უყვირა: შენა ხარ, ბერობას რომ თხოულობ, შე ნაკერატლო! აქ სოფელი მოჰქამე და ახლა გინდა მონასტრები შეჭამოვო. მღვდელს შიშით კინაღამ გული გაუსკდა და აღარც გაუბედნია ბერათ წასვლა.

აქ ვათავებ ამ წერილს და შემდეგისთვის მოვყვან სხვა ცნობებს. შეიძლება წვრილმანი იყოს, მაგრამ ამ წვრილმანისგანაა, რომ მსხვილმანები ხდება.

მონასტრიშვილი.

*) ეს ხომ მიღებულია და კანონიერი რუსეთში, რომ თუ მარკა დაკრული ანგარიში წარადგინე, გინდ სულ ტყუილი იყვეს და იპარავდე, არაფერი, მართალი ხარ და თუ უმარკოთ არის და შენი საკუთარიც რომ გქონდეს ზედ დახარჯული, არ შეიწყნარებენ.

# ვინა ვართ ქართველი ისრაელები?

მეოცე საუკუნის დასაწყისმა არა თუ ძლიერი და გაბატონებული ერები გამოაცოცხლა. გამოაცოცხლა და ფეხზე დააყენა ელვისებური სისწრაფით დაჩაგრული და დაბეჩავებული ერებიც. ამ უკანასკნელთ უკუ-აგდეს დრო-მოჭმული მსოფლმხედველობა, რომელსაც ესენი გადაგვარებისაკენ მიჰყავდა.

განყენებულმა აზროვნებამ დაჰკარგა ყოველივე ელფერი და ახლად შეუშვა თავის სფეროში სინამდვილის სხივები. რეალურმა ინტერესებმა თავისი ჰქნა და დასაწყისშივე მოსპო პარადოქსული ფრაზები! ამიტომ არც გასაკვირია, თუ ამ შეუპოვარ სინამდვილეს ვერც ქართველი ერი ასცდა და მისი შემადგენელი ნაწილებიც ალაპარაკდა, მოინდომა თვისი ნორმალურ ადგილის გამოძებნა და ჭეშმარიტ ფორმებში ჩამოყალიბება. ამიტომვე არც ისაა გასაოცარი, თუ ქართველ-მუსულმანთა და ქართველ კათოლიკეთა ან გრიგორიანთა საკითხთან ერთად ქართველის ისრაელების საკითხიც მთელის თავისის სიგრძე-სიგანით წამოიჭიმა და მოინდომა საერთო ქართულ საკითხთა შორის სათანადო ადგილის დაჭერა. ეს ადრე თუ გვიან უეჭველათ უნდა მომხდარიყო და ჩვენც ამის მოწმენი ვხდებით. მოვლენა სრულიად ნორმალურია, მხოლოდ საქმე ისაა, თუ რა კალაპოტში უნდა ჩავაყენოთ თავიდანვე ამ საკითხის მიმდინარეობა.

ყოველსავე ახალ საქმეს სწორი და უტყუარი ნიადაგი ესაჭიროება და ამიტომაც ყოველმა შეგნებულმა ქართველმა ამ საკითხის გაშუქება და გამორკვევა თვის მოვალეობად უნდა ჩასთვალოს, რათა ახლად გამოღვიძებული ხალხი არ ასცდეს მტკიცესა და რეალურ ნიადაგს. ეს იმიტომ უნდა მოხდეს, რომ რამდენათაც დიდ მნიშვნელოვანია ეს საქმე, იმდენად ძნელი შესასრულებელიც. უცოდინარი და შეუგნებელი ნაწილი ერისა ისეთივე სისწრაფით გაექანება სწორისა და ჭეშმარიტ გზისაკენ, როგორც უკულმართისა და უსაფუძვლოსაკენ. ამიტომ, თუ სწორის გზით ერთხელვე წავსულვართ, მერმე ვეღარ დაგვახევინებს უკან ვეღარავითარი ძალა. როდესაც წყალი მიდის, მას ვერც პატარა ნაფოტი და ვერც უზარმაზარი ძელი, ან აყუდებული კლდე ვერ დააბრკოლებს თვის მსვლელობაში. ორივე დაბრკოლება ერთნაირად ადვილი მოსაგერებელია მისთვის, როგორც სტიქიისათვის. ამავე დაბრკოლებას, ასეთსავე უმნიშვნელო ნაფოტს ვხედავთ ჩვენ ჩვენს მოწინააღმდეგეებშიაც, რომელთაც სტიქიონის ტალღები მაღლა ამოატივტივებს და ზღვის უფსკრულში გადისვრის. ჩვენ მოგახსენებთ ონის რაბინ ბ-ნ ბააზოვზედ, რომლის „პასუხის“[1]) გარჩევასაც ამ წერილში ვლამობთ. ამასთან ერთად ჩვენის საკითხის გარკვევასაც ვეცდები და რამდენადაც შევასრულებ, ეს თვით პატივცემულმა მკითხველმა განსაჯოს.

ადამიანის ბუნება ისეთია, რომ ბევრი რამ სიგლახის ჩადენა და მტრობის მოტანა შეუძლია, მაგრამ ხანდისხან მას მაინც ვერ დაუმტკიცებ, რომ მტრობა გასწია (ნებსით თუ უნებლიედ, ეს სულ ერთია) ეს შეგიძლია ზედმიწევნით იგრძნო და ვერ გამოხატო, ვერც ნამდვილ ფორმაში ჩამოასხა. მე თუ ამ ჩემს წერილში ბ-ნ ბააზოვს ვერ მოუყვანო მისივე ნაწერებიდან ამოღებული ციტატები, სადაც მას ნათქვამი ექნებოდა „მე სიონისტი ვარო“, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ის მართლაც სიონისტი არ იყოს. ასეთი რამის გულახდილად ქართველ ისრაელებში თქმა არც ისე ადვილია, რაშიაც ქუთაისისა და ონის რაბინის შეჯახებიდან ნათლად დავრწმუნდებით. როდესაც ქართველმა ისრაელებმა გაიგეს, რომ ბააზოვი ჩინჩრად ელაპარაკებოდათ, საშინლად ამხედრდნენ მას წინააღმდეგ. ბააზოვი რომ სიონისტია, ეს ყველამ გაიგო, შეუგნებელმა ქართველმა ისრაელმაც და შეგნებულმაც, ერის კაცმაცა და სასულიერო წოდების პირმაც, ქართულმა პრესამაც და ქართულმა საზოგადოებამაც. უფრო კი იგრძნო, ვიდრე გაიგო, მისივე წერილებიდან. იგრძნო ყოველმა მისი წერილების წამკითხველმა, რომ ის მალული, ნიღაბაფარებული სიონისტია, რა თქმა უნდა, ფრთხილიც. ბააზოვი რაბინია, **სასულიერო წოდების პირი**. გვახსოვდეს ეს და ამასთან ერთად სიონისტების ღმერთს, აწ განსვენებულ თეოდორე ჰერცლს მოუსმინოთ. აი რას ამბობს ეს მათზე, ვინც ებრაულ ეროვნულ იდეის მომხრეა[2]): „ის, ვინც ჩვენს ეროვნულ იდეას აღიარებს, ეცოდინება (ალბად ინსტრუქციებისდა მიხედვით. ი. ხ.), თუ როგორ შეუწყოს ხელი თვის წრეში მის (ებრაულ ეროვნულ იდეის) გავრცელებასა და განხორციელებას, ყველაზე მეტს იმედებს ჩვენ **სასულიერო წოდების პირებზედ** ვამყარებთ“... შემდეგ. 3) „პირველი, რომელნიც ჩვენ გვისმენენ, **რაბინები** იქნებიან. ესენი ჩვენს იდეას მიეკედლებიან და ამბიონიდან (სამქადაგებლოდგან) სხვებსაც აღაფრთოვანებენ ეს წირვისა და ლოცვის დროს, **სხვათა შორის** უნდა ხდებოდეს. და ეს ასეც უნდა იყოს“. იგივე ჰერცლი, იდეოლოგი სიონიზმისა, მისი სულის ჩამგმელი, დიდებული ნიჭითა და შორსმჭვრეტელობით აღჭურვილი ადამიანია. მისი სიტყვა ასჯერ არის გაზომილი, ხოლო ერთხელ მოჭრილი. ჰერცლის შეხედულება სიონიზმზე და მისი განმარტება ყოველმა მეცნიერმა ადამიანმა იზიარა. მაშ კიდევ ჰერცლს მოვუსმინოთ[4]): „უწინარეს ყოვლისა სიონიზმი არის დაბრუნება ებრაელობასთან მხოლოდ და შემდეგ კი ებრაელთა მიწა-წყალზე“. გადავავლოთ ახლა თვალი „პალესტინოფილების“ წრეს—ნოკოვე ციონს, რომლის მიზანსაც შეადგენს: „პალესტინაში მიწის სამუშაო კოლონიების დასაარსებლად ხელის შეწყობა და ებრაელებში ეროვნულ თვითშეგნების შეტანა შემდეგის საშუალებით: შესწავლა ებრაელთა ისტორიისა და ლიტერატურისა და ძველ ებრაული ენის სალაპარაკო ენად გარდაქცევა“. როგორც ხედავთ სიონიზმის საძირკველი და იმედი სწორედ აქ არის ჩამარხული. აქ არის მისი მთავარი ღერძი, ე. ი. ებრაელებში ეროვნული თვითშეგნების შეტანაში. და როდესაც ამ მიზანს მიაღწევს მსურველი, მაშინ გადასახლებაც ლოღიკურად და ბუნებრივად უნდა მოხდეს, რადგანაც ის შეგნებაც განმტკიცდება, რომ სამშობლოს მოკლებული ერი ვერასოდეს ვერ გახდება საერთაშორისო სამართლის თვალში დამოუკიდებელ სოციალურ არსად. და თუ გადასახლება ბუნებრივად არ მოხდა, მაშინ „ერთნი თვით წავლენ, მეორენი მათ გაჰყვებიან, მესამენი მოხიბლულ იქნებიან, ხოლო მეოთხეებს ძალით წაიყვანენ“. ჯერ ბააზოვს არ უთქვამს ჩვენთვის პირდაპირ გადახლდითო, სამაგიეროდ ნიადაგს იმზადებს საამისოდ. გვარწმუნებს, რომ ჩვენც ებრაელები ვართ და არა ქართველი ისრაელები. ცდილობს შემოიტანოს ჩვენში ებრაული ეროვნული იდეა, შეგვასწავლოს მათი ისტორია, ლიტერატურა. ამ მიზნის მისაღწევად კი ვიდრე შეეძლო სწველა მან ქართული პრესა ბოლო დროს კი როდესაც დაინახა, თუ რა ძნელია ხალხის ყინულზედ გაცურება, ბუნებრივი ხერხიც გამოუნახავს. ნორჩ ბავშვებს იგდებს ხელში (ვითომდა რჯულის სასწავლებლად) იეშიბებში და თალმუდ-თარებში და ასწავლის მათ ძველ ებრაულ ენაზედ ლაპარაკსა და წერა-კითხვას. ამისთვის კიდეც მიუწვევია ონში (ქუთაისში არა გაუვიდა რა) ვიღაც რუსის ებრაელი, რომელიც პირნათლად ასრულებს ნაკისრებ მოვალეობას. ესეც რომ იქით გავუშვათ, თვით რაბინის წერილიდგან ამოვიღოთ ციტატა, სადაც ჩვენი ობსკურანტი „ხმამაღლაც“ კი იძახის: „ამ ნაირი სიონისტი მეც გახლავართ და ძალიანაც მახარებს პალესტინის აყვავება და დევნილ ებრაელების იქ მომწყვდევა“-ო. ვისაც კი სიონისტების პროგრამა წაუკითხავს, დამერწმუნება, რომ სიონიზმი „ასეთნაირია“ და არა ისეთნაირი, ერთნაირი და არა სხვანაირი. ეს თვით რაბინმაც კარგად იცის და ჩვენს თვალების ახვევას ლამობს, მაგრამ რას გააწყობს, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ „წყალ-წაღებული ხავსს ეკიდებოდაო“. თუ ჩვენ იგივე რუს-ამერიკის ებრაელობა ვართ, მაშ მათთან ერთად უნდა გადავსახლდეთ. ინგლისისა და იტალიის ებრაელობა, თქვენც გცოდნიათ, რომ სრულის უფლებებით არიან აღჭურვილნი და ფრიად მაღალი და პასუხსაგები ადგილებიც უჭირავთ სახელმწიფოში. მაშ იტალია-ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის ებრაელობამ, როგორც უფლებრივად გათანასწორებულმა, ფეხიც არ უნდა დასძრან იქიდან, არა? ხედავთ, ისეთ ულოღიკობამდისაც კი მისულხარ, რომ თქვენს ნათქვამს თქვენვე აბათილებთ! ამას გარდა, კილო რაღაც გაუგებარი რჩება ჩემთვის სიტყვა „დევნილი“. თუმცა იძახით კი, რომ „საქართველოს“ ებრაელობას საამისო არა გვიპირს რაო“, მაგრამ განა ჩვენც ისეთივე დევნილი არ შევიქენით, რაც რომ საქართველო რუსეთს შეუერთდა პოლიტიკურად და დაჰკარგა თავისი დამოუკიდებლობა და რაც თქვენისთანა „მოამაგეებმა“ შავი ყორანივით წამოგვჩხავლეს თავზე: „რუსის ებრაელებსა და თქვენ შორის იოტის ოდენა განსხვავებაც კი არ არისო“? გეყოფათ, ბ-ნო რაბინო! კმარა ამოდენა ორპირობა! ცოტა არ იყოს, თქვენ თვითონ, როგორც ღვთის მოსამსახურე კაცმა, არ უნდა მისცეთ თქვენს თავს ამოდენა სიყალბის თქმის ნება! ერთი სიტყვით, როგორც ჩვენთვის, ისე მკითხველისათვის აშკარაა, რომ ქართველი ისრაელების რაბინი, ისიც დაბა ონში სიონისტია. ეს აზრი მარტო მე და ამხანაგ მიხაკოს არ გამოგვითქვამს. ეს სთქვა მთელმა ქართველმა ისრაელობამ და ქართველმა საზოგადოებამაც, უფრო კი მისმა სულიერმა სარკემ—ქართულმა პრესამ,—განურჩევლად მიმართულებისა. თუ არ გჯერათ, გთხოვთ შეწუხდეთ და წაიკითხოთ „სახალხო ფურცლის“ მე-668 №-ში მოთავსებული პეტრე მირიანაშვილის ფელეტონი სათაურით „ზოგი რამ“, არც „ახალი კვალის“ მათრახები დაგავიწყდებოდათ უთუოდ (№ 28). გაზეთ „მეგობარშიაც“ შეხვდებით მსგავს რამეს. „საქართველოში“ კი უფრო მეტს, ვიდრე იმას, რომ თქვენ სიონისტი ხართ. მე საზოგადოდ აღარ შევაწუხებ პატივცემულ მკითხველს მეტის ლაპარაკით იმაზედ, რომ ბ-ნი ბააზოვი სიონისტია. ბ-ნო რაბინო! გინდათ სიონისტი უწოდეთ თქვენს თავს, გინდათ იდიშისტი, გინდ ბუნდისტი, ეს ჩვენთვის სულერთია, რადგანაც ზღვა დამახრჩობს თუ ღელე, ხომ კი დამახრჩობს. უმთავრესი საკითხი აქ ისაა, რომ ვართ ჩვენ ებრაელები, თუ ქართველები ეროვნებით? აი აქ უნდა იყოს მთელი ჩვენი დავის შინაარსი ჩასახული და პოლემიკაც ამის გარშემო უნდა ტრიალებდეს.

ი. ხ—შვილი.

(შემდეგი იქნება)

# დაბა-სოფლები

**სოფ. ყვარელი.** 19 თებერვალს მოხდა წლიური კრება ყვარელის შემნახველ-გამსესხებელ საკრედიტო ამხანაგობისა. კრებას ამხანაგები ბევრნი დაესწრნენ, თითქმის სამ მეოთხედს აღემატებოდა. კრებამ კრების თავმჯდომარედ აირჩია ბ. ა. ზახიევი. ბევრის მსჯელობის შემდეგ კრებამ დაიწყო 1916 წლის მოგების განაწილება. კრების თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აზრათ აქვს გახსნას ს. ყვარელში ილიას სახელობაზედ ორ კლასიანი ქართული სკოლა ილიას მამულში და, რომ ეს აზრი აზრად არ დარჩეს, ჩვენც ნივთიერათ დახმარება გავუწიოთო. კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა გადაიდოს 1000 მან. ამ სკოლის სასარგებლოთ.

იმედია, კოპერატიულ დუქნის კრებაც, რომელიც ამ ერთი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს, მიბაძავს შემნახველ-გამსესხებელ საკრედიტო ამხანაგობის კრებას და მომავალ ქართულ სკოლისათვის, რომელიც უნდა გაიხსნას დაუვიწყარ მგოსნის ილია ჭავჭავაძის სამშობლოში, თავის წვლილს გაიღებს.

**ყვარლელი.**

—

**ს. ბაკურციხე** (კახეთი). 19 თებერვალს შესდგა დავით ზ. სარაჯიშვილის სახელობის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წლიური საზოგადო კრება. განსახილველი იყო წარსულ წლის ანგარიში და ახალ გამგეობის წევრთა არჩევნები.

კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ თავად სვ. ვაჩნაძემ. თავმჯდომარედ კრებისა არჩეულ იქმნა ერთხმათ ინსპექტორი ბ-ნი ნიჟარაძე. ინსპექტორმა კრებას მისასალმებელ სიტყვით მიმართა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა წარსულ წლის ანგარიში, საიდანაც გამოირკვა შემდეგი: ამხანაგობაში ითვლება 602 წევრი. წარსულ წელს ამხანაგობას დარჩენია წმინდა მოგება 4010 მან.

ეს თანხა განაწილებულ იქმნა ასე:

| | |
|---|---|
| ძირითად თანხას 40% . . | 1604 მ. |
| სათადარიგო თანხას 20% . | 802 „ |
| საწყობისათვის საკუთარ შენობის ასაშენებლად . . | 800 „ |
| ბაკურციხის სკოლის შესაკეთებლად . . . . . | 100 „ |
| ბაკურციხის ბიბლიოთეკის ფონდისათვის. . . . . | 100 „ |
| ქართ. შ. წ.-კ. საზ. სიღნაღის განყოფ. . . . . . | 50 „ |
| ქართულ საქველმოქმ. საზოგ. სიღნაღის განყოფ. . . . | 50 „ |
| განათლების საზოგადოებას . | 50 „ |
| „სინათლის“ საზოგადოებას (ქუთაისი) . . . . . . | 50 „ |
| გურჯაანის თეატრის ასაშენებლად . . . . . . | 50 „ |
| კოლაგის სკოლის სასარგებლოდ . . . . . . . . | 50 „ |
| ამხანაგობის წევრთა შორის გასანაწილებლად . . . | 304 „ |
| ს უ ლ . . . . . . . | 4010 მ. |

ანგარიში მიღებულ და დამტკიცებულ იქმნა საზ. კრების მიერ. შემდეგ კრებამ გამოიტანა განაჩენი: 1) დაევალოს ახალ გამგეობას სთხოვოს სახელმწიფო ბანკს მოკლე-ვადიანი სესხის ნდობა გაუდიდდეს 40,000 მანეთამდე. 2) იშუამდგომლონ კახეთის კავშირში და ყოველ საკრედიტო დაწესებულებაში, რაც შეიძლება, მეტი ნდობა გაეხსნას ბანკ. ამხანაგობას და 3) ეთხოვოს, სადაც ჯერ არს, თითეულ წევრს გაუდიდდეს ნდობა 400 მან. (აქამდე არის. 200 მან.) არჩეულ იქმნენ: ვასო გოზალოვი (თავმჯდომარე), ზაქარია ზირაქაშვილი და გიო სიბაშვილი (გამგეობის წევრნი), ვანო მუნჯიშვილი (მოანგარიშე). სარევიზიო კამისიაში, ვ. ბაგდანოვი, მღვდ. ი. ნაცვლიშვილი და მღვ. ილ. მაჭავარიანი. შედგენილ იქმნა ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

| | |
|---|---|
| დაენიშნა: თავმჯდომარეს . | 960 მ. |
| საქმის მწარმოებელს (მოანგარიშე) . . . . . . . | 960 „ |
| გამგეობის პირველ წევრს . . | 720 „ |
| გამგეობის მეორე წევრს . . | 720 „ |
| მოსამსახურე კაცს . . . . | 240 „ |
| წვრილმანი ხარჯები . . . | 200 „ |
| ს უ ლ . . . . . . . | 3800 მ. |

კრების დასასრულ ინსპექტორმა ბ. ნიჟარაძემ მიულოცა ამორჩეულ პირთ და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

კრება დაიშალა ნაშუადღევის სამს საათზე.

**დამსწრე.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

„სახალხო ფურცლის“ 18 ამა თვის № 798-ში მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „წამებული ქართული ენა“, რომელშიაც ნათქვამია, ვითომც ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი და მე იმ დროს, როდესაც მშობელთა ცენტრალურ წრის განსაკუთრებულ კომისიის წევრები,—სომხები და თურქები,—ადგილობრივ ენების სწავლების აუცილებლობას იცავდნენ, ჩვენ ამას შეუძლებლად ვსცნობდით. „რას ჰფიქრობდნენ ბ. ივ. ზურაბიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი, როდესაც ასეთს პასუხსაგებ მომენტში ჰღალატობდნენ ქართულ საქმეს და მხდალად მოითხოვდნენ იმას, რაც უკვე არსებობს და არც არავინ გვართმევსო“,—აბოლოვებს თავის წერილს ავტორი.

კითხვა და ბრალდება დასმულია და მეც ჩემს მოქალაქობრივ ვალად ვსთვლი პასუხი გავსცე და განვმარტო საქმე.

პასუხის დაგვიანების მიზეზი ის არის, რომ ჯერ მინდოდა ანგარიში მომეხსენებინა იმისათვის, ვინც კომისიაში მონაწილეობის მიღება დამავალა, ქართულ გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრისათვის და ამ წრის ოქმში აღმენიშნა, თუ რა მოხდა კომისიაში. ეს კი საჭირო იყო იმიტომ, რომ ამ წრის თავმჯდომარე იღებდა მონაწილეობას კომისიაში და როგორც მოწმეს, შეეძლო დაედასტურებინა, ნამდვილად გადავეცი ჩემს მარწმუნებელს კომისიაში ჩემგან ნათქვამი თუ არა.

ეხლა გადავიდეთ საქმეზე.

მშობელთა ცენტრალურმა წრემ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალა ადგილობრივ ენების სავალდებულო სწავლების წესის შემუშავება. ამ კომისიაში არც ბ-ნი თაყაიშვილი და არც მე არჩეული არ ვყოფილვართ. მხოლოდ რამდენისამე დღის შემდეგ ქართულ გიმნაზიასთან არსებულმა მშობელთა წრემ ორის თავის წევრის პირით შემოგვითვალა, რომ გვთხოვს ჩვენ, ბ. თაყაშვილსა და მე, მივიღოთ მონაწილეობა ხსენებულ კომისიაში. ჩვენც თანხმობა განვაცხადეთ.

კომისიის პირველ სხდომას დაუპატიჟებლობის გამო ვერ დავესწარით და მხოლოდ მეორე სხდომაში, 12 ამა თებერვალს, მივიღეთ მონაწილეობა.

12 თებერვლის სხდომაზე ირკვეოდა საკითხი, რომლის განხილვა თურმე პირველ სხდომაზე დაწყებულიყო და ვერ დასრულებულიყო, სახელდობრ, როგორ ესმით კომისიის წევრებს ადგილობრივ ენების სავალდებულო სწავლება და როგორ შეიძლება მათის სწავლების აუცილებლობის განხორციელება. ყველამ გამოსთქვა თავისი აზრი და სხვებთან ერთად მეც გამოვთქვი ჩემი აზრი. მე ვსთქვი შემდეგი. ადგილობრივ ენების სწავლება უნდა იყოს სავალდებულო და მათის სწავლების აუცილებლობა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ:

1) ადგილობრივ ენებს უნდა მიენიჭოს ისეთივე ადგილი სხვა საგნებს შორის, როგორიც უჭირავთ ე. წ. მთავარ საგნებს,—რუსულ ენას, მათემატიკას და სხვ., ე. ი. ცუდს ნიშანს დედა-ენაში ისეთივე შედეგი უნდა მოჰყვებოდეს, როგორც დასახელებულ მთავარ საგნებში; რაც უნდა წარმატებას იჩენდეს მოსწავლე სხვა საგნებში, თუ დედა-ენაში ცუდი ნიშანი აქვს, კლასიდან კლასში გადაყვანილ არ უნდა იყოს. 2) დედა-ენის სწავლება უნდა იწყებოდეს პირველ მოსამზადებელ კლასში და გრძელდეოდეს მთელის კურსის განმავლობაში, ე. ი. უნდა ისწავლებოდეს გიმნაზიის ყველა კლასებში. 3) დედა-ენას უნდა დაეთმოს ყოველ ცალკე კლასში საკმაო რიცხვი გაკვეთილებისა (რამდენი რომელში, არ იყო გამორკვეული და ამ კითხვის გამორკვევა გადადებული იყო, ხოლო ბ-ნმა თაყაიშვილმა განაცხადა, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქში ორ უცხო ენის მაგიერ სავალდებულოდ უნდა დარჩეს ერთი და მეორის საათები უნდა მოხმარდეს დედა-ენას). ეს გაკვეთილები ჩართული უნდა იყოს სხვა გაკვეთილებს შორის და არ ინიშნებოდეს უკანასკნელ, მეექვსე ზედმეტ გაკვეთილად, როგორც ეხლაა შემოღებული. 4) ადგილობრივ ენების მასწავლებლები უნდა იყვნენ მიწვეული შტატის მასწავლებლებად და მათ უნდა მიენიჭოს ყველა ის უფლება, რაც ყველა მთავარ საგნის მასწავლებლებს აქვს. 5) უნდა შემუშავდეს სავალდებულო პროგრამა ადგილობრივ ენების შესასწავლად და ეს პროგრამმა უნდა შეიცავდეს იმ ენის ლიტერატურას და იმ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიას, რა ენასაც სწავლულობს მოსწავლე. 6) სავალდებულო ადგილობრივ ენებად უნდა ითვლებოდეს ქართული, თათრული და სომხური და მათი სწავლა სავალდებულოა ქართულისა—ქართველ, თათრულისა—თათარ და სომხურისა—სომეხ მოწაფეთათვის გარდა იმათისა, რომელნიც გადაგვარებულან და გიმნაზიაში შესვლის დროს დედა-ენაზე არ ლაპარაკობენ.

ამ უკანასკნელ ჩემს წინადადებაზე მიპასუხეს, რომ ასეთი გამოკლება გადაგვარებულებისა აუცილებლობის ხასიათს უკარგავს ადგილობრივ ენის სწავლებას და შეიძლება ბევრმა მშობელმა ისარგებლოს ასეთის გამარტებით და არ მოისურვოს ბავშვს დედა-ენა ასწავლოს, მეტადრე როდესაც იმის შიში იქნება, რომ დედა-ენის საგანში მიღებულ ცუდ ნიშანს ცუდივე შედეგი მოჰყვება მის ბავშვისათვის. მე ჩემის მხრით ამაზე შემდეგი ვუპასუხე: ჩემი სურვილია, რომ ჩემი ენა ისწავლებოდეს ისე, როგორც ეს საჭიროა, ე. ი. რომ გიმნაზიის კურს დამთავრებულმა იცოდეს არა მარტო წერა-კითხვა, არამედ რომ მას სავსებით და ვრცლად ჰქონდეს შესწავლილი ქართული ლიტერატურა (მისი ისტორია) და ქართული ისტორია. ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა დიდ საქმეს შეადგენს და თუ მასწავლებელი იმათ მოუნდა, ვინც ლაპარაკიც კი არ იცის თავის დედაენაზე, მრავალი უმეტესობა მოსწავლეთა ჩამორჩება ამ საგანში. მე მირჩევნიათქო, ვამბობდი მე, რომ ამ დიდმა უმრავლესობამ მთელი პროგრამა შეისრულოს და თავის ლიტერატურა (ძველი და ახალი) და თავის ხალხის წარსული იცოდეს, ვიდრე ამ პროგრამის შეუსრულებლობის ფასად დაუბრუნდეს ხალხს თითო-ოროლა გადაგვარებული მისი წევრი.

ოთხმოცდა ცხრამეტმა კარგად შეისწავლოს საგანითქო, და მეას ე წყალს წაუღია, ვიდრე ამ ერთის უკვე წყალწაღებულისათვის იმ ოთხმოცდა ცხრამეტმა ვერ მოასწროს საგნის სავსებით შესწავლა და ჩამორჩესთქო. მე იმედი მაქვს, დავუმატე მე, რომ ღვთის მადლით ასში ერთიც არ მოვა, რომელმაც დედა-ენა არ იცოდეს, ხოლო დედა-ენაზე მოლაპარაკესათვის თვის ენის სწავლება სავალდებულო და აუცილებელი უნდა იყოს.

აი ის აზრები, რომელიც გამოვსთქვი მე 12 თებერვალს კომისიის სხდომაზე.

ეხლა მოგმართავ შენ, მკითხველო, და გკითხავ: ნუ თუ იმას მოვითხოვდი, „რაც უკვე არსებობს“? ნუ თუ ამას ჰქვიან ქართულ საქმის ღალატი? ღალატი ხომ განზრახვას გულისხმობს და, ნუ თუ ჩემმიერ ნათქვამში გამოიხატება ასეთი განზრახვა.

ყველა იმ აზრს, რაც ზემოდ იყო მოყვანილი, იზიარებდა კომისიის ყველა წევრი და ყველა ის ზომები, რაც ზემოდ დავასახელე, ყველას ცვლილებად მიაჩნდა და არა ისეთ რამედ, რაც უკვე არსებობს. ერთად-ერთი განსხვავებული ჩემი აზრი ის იყო, რომ სავალდებულოდ ვხდიდი დედაენას ყველასათვის, გარდა გადაგვარებულთა.

მე მეგონა, რომ ამით ქომაგობას ვუწევ ჩემს ენას; მეგონა, რომ ამ საშუალებით შეიძლება მისი მაღლა და კარგის დაყენებით მისთვის იმ პატივისცემის მოპოება, რომლის ღირსიც არის.

შეიძლება შემცდარი აზრი იყოს, მაგრამ ნუ თუ არაფერი განსხვავება აღარ არსებობს შეცდომასა და ღალატს შორის, რაგინდ კარგი და პატიოსანი აზრი არ ედვას საფუძვლად ასეთს შეცდომას? და თუ არის განსხვავება ამ ორ ცნებათა შორის, ვის, თუ არ მწერალს, გაზეთში მომუშავეს, შეუძლია ამ განსხვავების გამორკვევა.

ადვილია ასეთის საწყლისა და მძიმე სახელით ადამიანის მონათვლა, მაგრამ დაუფიქრდა ზემოაღნიშნულ წერილის დამწერი იმას, რა დაუმსახურებელ შეურაცხყოფას აყენებს და რა საშინელ დაღს აჩენს ადამიანის გულს, თუ გულმართალსა და უდანაშაულოს შეჰკადრა ასეთი საშინელი სახელი.

ასეთის ცუდის ხსენებით და ასეთის ბრალდებით, რასაკვირველია, ჩემის ენისადმი და ჩემის ხალხისადმი სიყვარულს და თაყვანისცემას ვერავინ ვერ ამომიშლის გულიდან, მაგრამ საქმე ჩემზე კი არ არის. საქმე ის არის, რომ სწორედ იმ ქართულ ენას, რომელსაც იცავს წერილის ავტორი, უნდა გაფრთხილება და პატივისცემით მოქცევა. ხოლო ენა მარტო მაშინ კი არ წახდება ხოლმე, როდესაც რამ გრამატიკული ფორმა შეგცდებათ, არამედ და უფრომ მაშინ, როდესაც ბოროტად და საცილისწამებოდ გამოიყენებთ მას. ჩემის ხალხისა და დედა-ენისადმი სიყვარულს ვერავინ და ვერაფრით ამომიშლის გულადანთქო, მოგახსენეთ, მაგრამ მე იქნება არაფერი დამსახურება მიმიძღოდეს ჩემის ხალხის წინაშე. მხოლოდ ნუ თუ ერთ წამს არ შეეყოყმანდა წერილის ავტორი, კალამი ხელიდან არ გაუვარდა, როდესაც ასეთ მძიმე ბრალსა სდებდა ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილს. ნუ თუ მთელის თავის მოღვაწეობით მან მეტი ვერა დაიმსახურა რა? ბ-ნი თაყაიშვილი იყო, რომელმაც გამოაცხადა კომისიაში, რომ ნამდვილი პედაგოგიური და ბუნებრივი მოთხოვნა ის არის, რომ მთავრობის გიმნაზიაშიაც ის წესი იყოს შემოღებული, როგორიც ქართულ გიმნაზიაშიაც არისო, რომ ყველა საგნების სწავლება დედა-ენაზე სწარმოებდესო. ბ-ნი თაყაიშვილი იყო, რომელმაც სთქვა, ადგილობრივ ენების სწავლების აუცილებლობა აღვნიშნოთ ფორმულით: ადგილობრივ ენების სწავლა სავალდებულოა ადგილობრივ ეროვნებათა მოსწავლეთათვის.

ნუ თუ ესეც სიმხდალე და ღალატი იყო? ვასრულებ ამ წერილს და ვიმეორებ, კომისიის წევრობა მე დამავალა ქართულ გიმნაზიასთან არსებულმა მშობელთა წრემ: ამით მან პატივიც მცა და დიდი ვალიც დამდო. მაშასადამე, მე არავითარი მიზეზი არ მქონდა ბოროტის განზრახვით მესარგებლნა ასეთის მონდობილობით. არც მისარგებლნია ბოროტად, რადგან სხვებთან ერთად მოვითხოვდი, რომ ქართული ენა სავალდებულო საგნად ყოფილიყო აღიარებული ქართველ მოწაფეთათვის. ამ აზრის განმარტების დროს თუ განსხვავება რამ შევიტანე, ეს განსხვავება, ჩემის რწმენით, აუცილებლობის ხასიათს არ უკარგავს ქართულ ენის სწავლებას (ვერავინ გადაგვარებულთ გარდა ვერ იტყვის დედა-ენის სწავლაზე და იმედია, ქართველი ხალხი მთლიანად არ გადაგვარებულა ჯერ-ჯერობით) და თვით ეს განსხვავებული აზრი გამოვსთქვი იმ კეთილის, მგონია, განზრახვით, რომ ქართულის ენის სწავლება საუკეთესოდ და ზართო ყოფილიყოს დაყენებული.

შევცდი იქნება, მაგრამ ამის მიზეზი ჩემის ენისადმი დიდი სიყვარული იყო და არა ღალატი და სიმხდალე.

**ივ. ზურაბიშვილი.**

—

ბ. რედაქტორო!

გაზეთ „ტიფლ. ლისტ.“-ში თებერვლის 23-ის თარიღით მოთავსებული იყო შენიშვნა. ამ შენიშვნაში ნათქვამია, თითქოს მეპურეებს ჰქონდეს შედგენილი „ორგანიზაცია“, რომლის მიზანია: ხელოვნურად ხელი შეუწყოს მეპურეებს გაჰყიდონ პური ნიხრის მიუხედავათ მეტ ფასებში და აგრეთვე დაეხმაროს ორგანიზაცია იმ მეპურეთ, რომელნიც დაჯარიმებულნი იქნებიან კანონის ძალით.

ამ შენიშვნას თავით-ბოლომდის ტენდენციური ხასიათი აქვს და, ცოტა არ იყოს, პროვოკაციის სუნიც უდის. ასეთი შენიშვნა, რასაკვირველია, სინამდვილეს არ შეესაბამება და აი რატომ: შენიშვნაში ნათქვამია, თითქოს მეპურენი ნიხრის დარღვევისთვის იხდიდნენ 25 მანეთს, მაშინ როდესაც ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ 100—200 მანეთ ნაკლებში ვინმე დაეჯარიმებინათ, რასაც დაადასტურებს თვით ბ-ნი თბილისის პოლიცმეისტერიც. შენიშვნა, როგორც სჩანს, მეპურეთა და მცხოვრებთა შორის დამოკიდებულობის გასამწვავებლათაა დაწერილი, რადგან დაჯარიმებულთა ვითომ და უზრუნველყოფ უკვე მოხსენებულ ორგანიზაციის მიერ დღევანდელ პირობებში, ისეთი აღმაშფოთებელი ამბავია, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს არა სასურველი ამბები; მით უმეტეს ამ უპურობის დროს, როდესაც ისედაც ნერვებ-აშლილ საზოგადოებისათვის საკმარისია პატარა რამ მიზეზი, რომ თავის გულის წყრომა ვინმე უდანაშაულოზე ამოიყაროს. ესეთი გულის წყრომა უფრო იზრდება მაშინ, როდესაც ხსენებული გაზეთი თავის შენიშვნაში იმასაც დასძენს, თითქოს მეპურეებს ჰქონდესთ საჭირო, გამოსაცხობი ფქვილი, მაგრამ განგებ მალავენო. თვით ქალაქის გამგეობას კარგათ მოეხსენება არის პური თუ არა, რადგან თვით ურიგებს საჭირო ფქვილს მეპურეებს. შესაძლებელია, თვით ქალაქის გამგეობის მეპურეთ და ზოგიერთ მდიდარ მეპურეებს ჰქონდესთ საჭიროებაზე მეტი ფქვილი და არა ყველა მეპურეებს.

ასეთმა არასასიამოვნო შენიშვნამ უკვე მოიტანა მეტად სამწუხარო შედეგი: თებერვლის 26, შეიკრიბა ხალხი ჩვეულებისამებრ ი. მ—ის პურის საცხობის წინ; პური საყოფი არ აღმოჩნდა ყველასთვის, მაშინ ზოგიერთებმა ისარგებლეს ზემოხსენებულ შენიშვნით და აამხედრეს დამშეული ხალხი მეპურის წინააღმდეგ. ორიოდე კეთილ სინდისიერი და საქმის მცოდნე პირი, რომ არ ჩარეულიყო ამ საქმეში, შესაძლო იყო, ხალხის გულისწყრომა რაიმე უბედურობით დამთავრებულიყო. ამიტომ ასეთ საკითხში მეტად სიფრთხილეა საჭირო და ასეთის სიფრთხილით განსაკუთრებით გაზეთის რედაქტორები უნდა მოიქცნენ, რათა თავიდან აიცდინონ ყველას არასასურველი შემთხვევანი. მით უმეტეს, რომ ყველას კარგათ მოეხსენება, რომ ქალაქში არაა ფქვილი, მოტანა მეტად გასჭირდა და რა შუაში არიან მეპურენი?

დავშთები პატივისცემით მეპურეთა მამასახლისი **ეფრემ ისაკაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ადგილობრივი-თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9 20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7 51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.33 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე**

# ლ ა ღ ი ძ ი ს

**და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ‑ თვით პრობკებსაც აწერია

## „ლაღიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია **მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის** წვნით და მასთანვე

## სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-ძმით,** სამრეწველოებიდან **ახალი ქვირითის ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მუშიხნი“ ხიზილალა.** მივიღეთ საუკეთესო **სალიანის შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, **ფარგა და** ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა **ხანგრძლივ ინახება.**

# სუსუნატით (გონორეა)

# ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს** საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.

# რ ა ტ ო მ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

# იმიტომ, რომ,

**ჯერ ერთი,** დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

**მეორედ,** იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

**მაგრამ ყველა ავადმყოფმა,** ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი **„ურიტალი“.** სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

# ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისათვის საჭიროება ექვსი ფლაკონი და ძველებული ათი ფლაკონი სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1,** напротивъ **Государственнаго Банка.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „[illegible]“ ა. [illegible], გაბაევის შესახვევი № 4